645/
1971/3



# საქართველოს ქალი

დეკემბერი
№ 12 1971 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მწერალი დემნა შენგელაია 75 წლისაა

ქართული მწერლობის თვალსაჩინო ოსტატს დემნა შენგელაიას დაბადებიდან 75 წლისთავი შეუსრულდა.

დემნა შენგელაია — შემოქმედი „სანავარდოსი" და „ბათა ქექიასი", „ცისკარისა" და „განძისა", შესანიშნავი მწერალი და უანგარო ადამიანი, თავდადებული მოღვაწე, განუმეორებელ ელფერს აძლევს და ალამაზებს ჩვენს ლიტერატურას, ჩვენს ცხოვრებას

დემნა უამრავ მილოცვებს იღებს. ამ წელს ულოცავენ მკითხველები, მეგობარი მწერლები, თანატოლები. და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, მის შესახებ სიყვარულითა და მადლიერებით წერენ ახალგაზრდები. ეს გასაგებია: დემნა შენგელაია ხომ ის შემოქმედია, ვინც სიყვარულით დატრიალებს თავს მომდევნო ლიტერატურულ თაობებს, ზრუნავს მათზე და ახარებს ახალგაზრდობის მიღწევანი...

პატივცემულო დემნა, უამრავ გულწრფელ მომლოცველთა შორის გვიგულეთ ჩვენც — ჟურნალ „საქართველოს ქალის" სარედაქციო კოლეგია, მუშაკები და მკითხველები.

645
1971/3
ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბორჯომის ჩამომსხმელ ქარხანაში

საწერი მაგიდის პირდაპირ წიგნების მოზრდილი კარადაა, ფოლიანტებით სავსე. მაგიდის მარჯვნივ, მეორე კარადიდან, სინჯარები, კოლბები, რეტორტები და სხვა ქიმიური ხელსაწყოები იცქირებიან.

ეს ოთახი ბორჯომის მინერალური წყლების № 1 ჩამომსხმელი ქარხნის ლაბორატორიის გამგის, თამარ სტაჟაძის კაბინეტია. წლების განმავლობაში იგი ხელმძღვანელობს ქარხნის ლაბორატორიას, რომელიც საუკეთესოდ მოწყობილი ბაქტერიოლოგიური და ქიმიური განყოფილებებისაგან შედგება. ლაბორატორია ქარხნის პროდუქციის ავკარგიანობის მაცნეა. თამარის თვალი ყველაფერს ამჩნევს, ყველაფერს ხედავს. მისი ვალია წყლის წუნდება — შედგენილობისა და ბაქტერიოლოგიური სიწმინდის დაცვა, მას ეკუთვნის უკანასკნელი სიტყვა პროდუქციის გაფორმების საკითხში. მას, როგორც მინერალური წყლების გამოჩენილ სპეციალისტს რესპუბლიკაში, ყოველთვის ანგარიშს უწევენ, მხარს უჭერენ ქარხნის ადმინისტრაცია, სამეცნიერო საბჭო.

თამარ სტაჟაძეს მნიშვნელოვანი გამოკვლევები აქვს მინერალური წყლების დარგში, ა. ე. ლეგრანთან და ე. მ. ფაჩუაშვილთან ერთად იგი ავტორია მეცნიერული შრომებისა — „მეტალების კოროზია ბორჯომის მინერალურ წყალში". „ფოლადის დაცვა ბორჯომის წყლის კოროზიისაგან სხვადასხვა საფარით".

თამარი კარგად უთავსებს ერთმანეთს შრომასა და საზოგადოებრივ საქმიანობას. იგი წლების მანძილზე სახალხო სასამართლოს მსაჯულია 1952 წლიდან კი № 1 ჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლაბორატორიაში

მომსხმელი ქარხნის პარტბიუროს მდივნის უცვლელი მოადგილეა. ეწევა აქტიურ პროპაგანდისტულ მუშაობას. დიდი ავტორიტეტით სარგებლობს მშობლიურ ქარხანაში, ქალაქში, რაიონში, მას იცნობენ, როგორც თვალსაჩინო მინერალოგს.

ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრომ 1968 წელს მინერალური წყლების სპეციალისტთაგან სწორედ თამარ სტაჟაძე შეარჩია ალჟირის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში მისავლინებლად. გულთბილად მიიღეს საბჭოთა სპეციალისტები ალჟირის რესპუბლიკის მრეწველობისა და ენერგეტიკის სამინისტროში, სადაც თამარ სტაჟაძე ინჟინერ-კონსულტანტად იყო მიწვეული ექვსი თვის ვადით. თამარს ბევრი რამ დახვდა უცხოეთში გასაკეთებელი.

წყალი ალჟირის რესპუბლიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, განსაკუთრებით საჰარის უდაბნოში. აქ მინერალურად ითვლება არა მარტო მინერალური, არამედ ძალიან სუსტად მინერალიზებული ან სრულიად ჩვეულებრივი სასმელი წყალი.

წყლის პრობლემის გადაწყვეტა რესპუბლიკის უპირველესი ზრუნვის საგანია.

თამარ სტაჟაძე მთელი მონდომებით, საქმის სიყვარულით შეუდგა მუშაობას, სურდა, რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოეტანა ალჟირელი ხალხისათვის, დახმარებოდა მათ ახალი ცხოვრების მშენებლობაში. ამიტომ ექვსი თვის ნაცვლად ერთი წელი დაჰყო ალჟირში თავის დაწყებული საქმის ბოლომდე მისაყვანად, თუმცა რთულ კლიმატურ პირობებში უხდებოდა მუშაობა — ზოგჯერ სიცხე 50 გრადუსს აღწევდა.

ეს იყო დაძაბული შემოქმედებითი მუშაობის წელი. ალჟირელებს არ ჰყავდათ ამ დარგის არც ერთი სპეციალისტი, რაც თამარს საქმეს უძნელებდა.

თამარს მუშაობა მოუხდა არა მარტო მინერალური წყლების წარმოების სფეროში, არამედ ბევრი ჰიდროლოგიური საკითხიც დაამუშავა: შეისწავლა ექსპლოატაციაში მყოფი ალჟირის მინერალური წყლების — „ბენ-ჰარუნის", „მუზაიას", „საიდას" წარმოების, შედგენილობის და ჰიდროლოგიური კვლევის მდგომარეობა უშუალოდ მინერალურ წყაროებზე, შეისწავლა სეტიფის, კონსტანტინის, კოლოს, გელმის, სუკარასისა და ანაბის რაიონების მინერალური წყაროების წარმოების პერსპექტივები.

თამარმა შეადგინა ცენტრალური ლაბორატორიისა და საქარხნო ლაბორატორიების მოწყობის გეგმა და პრაქტიკული მონაწილეობა მიიღო მის განხორციელებაში. ამავე დროს ამზადებდა კადრებს, აცნობდა მათ მუშაობის მეთოდებს და ეხმარებოდა ამ მეთოდების დაუფლებაში, ასწავლიდა წარმოებაზე კონტროლის განხორციელებას. თამარმა გულმოდგინედ შეისწავლა ქარხანა „ბენ-ჰარუნში" ჩამოსხმული მინერალური წყლის დალექვის მიზეზები და მისცა რეკომენდაცია მინერალურ წყალში ნალექების გამოყოფის აღსაკვეთად, დაამუშავა რეკომენდაცია „ბენ-ჰარუნის" ახალი ქარხნისათვის, მინერალური წყლის ახალი მილგაყვანილობის მშენებლობისათვის, გადაწყვიტა „საიდას" მინერალური საბადოს ჭაბურღილისა და ქარხნის მუშაობის საკითხები, აგრეთვე საკითხი ალჟირის მინერალური წყლების საერთო რესურსების შესწავლისა და წარმოების გაფართოების შესახებ.

ალჟირელებს კიდევ დიდხანს ემახსოვრებათ „მადმუაზელ თამალა", სიყვარულით ასე ეძახდნენ მას (თამალა არაბულად პალმას ნიშნავს). ალჟირელები ბორჯომის ჩამომსხმელ ქარხანასა და გაზეთ „ბორჯომის" რედაქციაში დღესაც გზავნიან ბარათებს, სადაც თამარს ქალობას უქებენ, სთხოვენ კვლავ ეწვიოს ალჟირს, კვლავ გაუწოდოს დახმარების ხელი.

ამ ცოტა ხნის წინათ ბორჯომში თამარის სახელზე ალჟირიდან მოვიდა ალჟირის ცენტრალური გაზეთის — „ელ-მუჯაჰიდის" ნომერი. რომელიც იტყობინებოდა, რომ 1969 წლის შემოდგომაზე ალჟირის მინერალურმა წყალმა საერთაშორისო გამოფენაზე მიიღო დიდი ოქროს მედალი.

ლია ლომიძე.

# ბახტრიონთან

ბახტრიონის ისტორიული ციხე, ნაომარი და ნამეხარი, თავისუფლების მებაირახტრე და გმირთა სავანე. აქედან ედება საზღვარი ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობას, უფრო სწორად, მეურნეობა — გიგანტს, რომელსაც ძირი ალაზნის დოვლათიან დაბლობზე დაუბჯენია, მხრებით, საზაფხულო საძოვრებით კი, ცის ლაჟვარდს ელივლივება. მეურნეობას 120 850 ჰექტარი უჭირავს და კახეთის დაბლობიდან მთათუშეთის ალპიური ზონის იალაღებზეა გადაჭიმული. ამ იალაღებზე 91 ათასი სული ცხვარი და 4.800 სული მსხვილფეხა რქიანი საქონელი ბალახობს. 758 ჰექტარ ფართობზე იკრიფება და იწურება რქაწითელი, მწვანე თუ კახური. ხეხილის ბაღებს 217 ჰექტარი უკავია. მეურნეობა მრავალდარგოვანია და თავისი მნიშვნელობით თვალსაჩინოა რესპუბლიკაში. შარშან მეურნეობის შემოსავალი ხუთი მილიონი მანეთი იყო, აქ გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფო გეგმა და ქვეყანამ მიიღო ზეგეგმითი ხორცი, მატყლი, ყველი, ხილი, ყურძენი, საჯიშე-სანაშენე პირუტყვი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50-ე წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახმეტის რაიონის სოფელ ალვანის ჯიშთასანაშენო მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა გამარჯვებული გამოვიდა და მთავრობის ჯილდო დაიმსახურა. „დაჯილდოვდეს დროშით და დარჩეს მას მუდმივ შესანახად, როგორც კოლექტივის შრომითი მამაცობის სიმბოლო", — ასე დაადგინეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ. ეს მეურნეობის დიდი გამარჯვება და საქვეყნო აღიარებაა.

მეურნეობის წარმატებას ხელს უწყობს მთისა და ბარის შეკავშირებული შრომა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თავისუფლების მოტრფიალე თუშებმა ბარისაკენ ქნეს პირი და კახეთის მადლიან მიწაზე დამკვიდრდნენ. მთათუშეთის მკვიდრნი კახელებად იქცნენ. ასე გაშენდა სოფელი ალვანი. ჩამოვიდნენ თუშები და ჩამოიტანეს შინაური პირუტყვის მოშენებისა და მოვლა-პატრონობის ჩვევები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარელებისაგან კი მემინდვრეობა და ვაზის
მოვლა-გაშენების კულტურა შეისისხლხორ-
ცეს. შეეწივთა ერთმანეთს ბარისა და მთის
საქმიანობა. მთა და ბარის შუამავლად კი
მთათუშეთის ცენტრი — ომალო გახდა. აქ
ნაწილდება ბარიდან ატანილი მარილი სა-
ქონლისათვის, სამედიცინო პრეპარატები,
დამხმარე ძალა მწყემსებისათვის. აქ იყრის
თავს მთათუშეთიდან ჩამოტანილი მატყლი
თუ თუშური ყველი. ომალოს ზევით მთები
სამანქანო გზაშარებს ვერ იგუებენ, ბილიკე-
ბით შლიან მეურნეობის ცხვარ-ძროხას
ალაზნისთავის, დართლოს, წოვათას, ჯვარ-
ბოსელას, შენაქოს იალაღებზე მწყემსები და-
ვით თურქოშვილი, ნიკო ქოჩიშვილი, ვლა-
დიმერ ბექურიძე, ლენინის ორდენოსანი გი-
ორგი ზარიძე და სხვები. აქვე იბადება ლე-
გენდა თუშ მწყემს რეზო ცაძეკიძეზე. რეზო
ცაძეკიძე მთელი ზამთარი მარტოდმარტო
რჩება სოფელ დართლოში და პირუტყვსაც
იტოვებს მოსავლელად. მთელ ზაფხულს ია-
ლაღებზე ატარებენ მწველავები ლისინე
ცუხრუკიძე და ევა ალხანოიძე, თითოეული
1600 ლიტრ რძეს წველის წელიწადში 1400
ლიტრის ნაცვლად. ამდენივე ლიტრ რძეს
წველის წლიურად მოწინავე მწველავი ქსე-
ნია ქოჩიშვილი ფიჩხოვანის განყოფილების
მეძროხეობის ბრიგადაში. მომავალში კიდევ
უფრო გაზრდიან წველადობას. წელს 58
სული ელიტას ჯიშის მსხვილფეხა რქიანი
მოზარდი შემატეს მეურნეობას სანაშენოდ.
ეს გააუმჯობესებს ადგილობრივი ჯიშის
მსხვილფეხა რქიან საქონელს, გაზრდის ხორ-
ცისა და რძის წარმოებას. ახალი გაუმჯობე-
სებული ჯიშის მსხვილფეხა პირუტყვისათ-
ვის ბაგურ კვებაზე გადასაყვანად 800-ად-
გილიან ფერმას აშენებენ სოფელ ფიჩხო-
ვანში.

ალვანის მეცხვარეობის ჯიშთსანაშენო საბ-
ჭოთა მეურნეობის ერთ-ერთი დარგი მეღო-
რეობაა, 5000 სული უკრაინული ჯიშის
ღორს აშენებენ, ზრდიან და ასუქებენ. ეს
ჯიში გამოცდილი და კარგად შესწავლილია,
ამტანია და ადვილად ეგუება ჩვენი რესპუბ-
ლიკის ჰავას. მეურნეობაში მეღორეობის
ოთხი ბრიგადაა. საჯიშე-სანაშენე ბრიგადა
კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რო-
მელსაც შრომის წითელი დროშის ორ-
გზის ორდენოსანი ნაზი პეტრიაშვილი ხელ-
მძღვანელობს. ნაზი 1950 წელს დააჯილდო-
ეს შრომის წითელი დროშის ორდენით. მა-
შინ კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმის
გამგედ მუშაობდა, მეურნეობის ჩამოყალი-
ბების შემდეგ, 1961 წლიდან, საჯიშე-სანა-
შენე ბრიგადის უცვლელი ბრიგადირია. ნა-
ზიმ თავი გამოიჩინა, როგორც საქმის მცო-
დნე, მუყაითმა, ენერგიულმა მეურნემ და
მიმდინარე წელს მეორე ორდენი მოიპოვა,
მის ბრიგადას დიდი მოვალეობა აკისრია მე-
ცხოველეობის ზრდა-განვითარებისათვის. ამ
ბრიგადის მოშენებული და გაზრდილი საჯი-
შე-სანაშენე ღორები ჩვენი რესპუბლიკის
საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეო-
ბებს ეძლევათ სანაშენე-საჯიშედ. ბრი-
გადა ყოველწლიურად ზრდის ვალდებულე-

ვეტექიმი თამარ იმედაძე





ბრიგადირი ნაზი პეტრიაშვილი (მარჯვნივ)





ბებს და გეგმას ყოველთვის 150 პროცენტით ასრულებს.

ბრიგადას წელს 1600 სული ღორი ჰყავს მოსავლელად. სანაშენოდ უნდა გაიყიდოს 560 სული. უკვე გაყიდულია გეგმით გათვალისწინებულზე მეტი. წლის ბოლოსათვის გეგმით უნდა ჩააბარონ 650 ცენტნერი ხორცი, დღეისათვის ჩაბარებული აქვთ 800 ცენტნერი, ხოლო წლის ბოლოსათვის ვარაუდობენ აწარმოონ 1000 ცენტნერამდე.

ბრიგადა 101 დედალორს უვლის. გეგმა თითოეულ დედალორზე 14 გოჭის მიღებას ვარაუდობს. ბრიგადის წევრები დღეისათვის დედალორზე 17 გოჭს ითვლიან. წლის ბოლოსათვის 20 გოჭს ვარაუდობენ. სულადობის გაზრდის პირველი პირობა დოლის უდანაკარგოდ ჩატარებაა. წელიწადში ორჯერ ხდება დადოლება, ორჯერ იწვევენ ალოსთავს საჯიშე-სანაშენე ბრიგადაში. დოლის ზრდა-განვითარება და უდანაკარგოდ შენარჩუნება ბრიგადის ყოველდღიური საზრუნავია. ეს საზრუნავი აკისრიათ კომკავშირელ გოგონებს, დებს — სოფიო, მერი, ნაზი შაბალაიძეებს. თითოეულს 25 დედალორი აბარია მოსავლელად თავის გოჭებით.

გოგონები მეურნეობაში რამდენიმე წლის წინათ მოვიდნენ სკოლის მერხიდან, ერთ ბრიგადაში დაიწყეს მუშაობა და შრომისმოყვარეობით თვალსაჩინოები გახდნენ. მათ ოჯახს მეცხოველეთა ოჯახს ეძახიან ალვანში. მათი მამა კოლა შაბალაიძე 10 შვილის გამზრდელია. მთელი სიცოცხლე [illegible] დაჰყვება ცხვარ-ძროხას და განთქმული სარქლის სახელს ატარებს.

საჯიშე-სანაშენე ბრიგადაში 8 წელიწადია მუშაობს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი მეღორე ანა გოზაიძე, იგი ყოველწლიურად სარეკორდო შედეგებს აღწევს, დედალორზე 21 გოჭს ზრდის. ახალშობილ გოჭებს ფხიზელი მეთვალყურე სჭირდება, რომ უხეშმა და გულგრილმა დედამ მოუფრთხილებლობით არ გასჭყლიტოს. გულისხმიერი მომვლელი ანა გოზაიძე გოჭებს დედის რძესაც თანაბრად უნაწილებს და დამატებით ულუფასაც დროულად აძლევს.

კომკავშირელი გოგონები გიული დათოიძე, ელენე ნუიშვილი, დარეჯან ქაძე, ცაცო ომიაძე მოზარდებს უვლიან. თითოეულს 150 მოზარდი ჰყავს მოსავლელად გაპიროვნებული და კარგადაც ართმევენ თავს დაკისრებულ საქმეს. გიული და ელენე დაუსწრებლად იძენენ უმაღლეს განათლებას; გიული თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის I კურსის სტუდენტია და ორი წელია მეურნეობაში მუშაობს, ელენე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მესამე კურსზეა; დარეჯანმა და ციცომ საშუალო განათლების მიღების შემდეგ მუშაობას მიჰყვეს ხელი. ამ ბრიგადაში გოგონები შრომისადმი პატიოსან დამოკიდებულებას სწავლობენ.

საჯიშე-სანაშენე ბრიგადა 8 ტონა კომბინირებულ საკვებს უნაწილებს პირუტყვს სამჯერ დღეში. სამჯერ უსუფთავებს სადგომს, მექანიზებული სარწყულებლები და ნაკელის გასატანი ელევატორი შრომას უმსუბუქებს მომვლელებს. აქვთ მაღალი წნევის ქვაბი ცხელი წყლისა და პირუტყვისათვის ხელოვნური რძის მისაღებად, მაგრამ რძის პრეპარატები ჯერჯერობით არ გააჩნიათ. ბრიგადა დიდ ყურადღებას აქცევს საჯიშე-სანაშენე გოჭების შერჩევას. საჯიშე-სანაშენე პირუტყვი დაბადებიდანვე ჯანსაღი და უნაკლო უნდა იყოს, წონა და სიგრძე შესაფერისი უნდა ჰქონდეს, ყურები თანაბარი, კუდი ზომიერი, დინგი კარგად განვითარებული, ჯაგარიც რომ მოკლე ჰქონდეს, დაიწუნებენ და საჯიშედ აღარ იგულებენ. ბრიგადის ყველა წევრმა იცის ახალშობილთა ნაკლი და ღირსება, მაგრამ ჯიშის შერჩევის საკითხს მაინც ბრიგადის ვეტერინარი-ექიმი თამარ იმედაძე და ექთანი გალინა გოგოიძე სწყვეტენ. გულდასმით სინჯავენ პირუტყვს, არჩევენ უმიზეზოებს — საჯიშედ, წუნიანებს — სახორცედ. თამარს მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს მეურნეობის დაარსების დღიდან დღემდე. გალინა კი სამი წელია მას უდგას გვერდში. ერთად ატარებენ პროფილაქტიკურ აცრებს, კასტრაციას, კვირაში ერთხელ შლიან სადეზინფექციო ხალიჩებს და ინფექციური დაავადებისაგან იცავენ პირუტყვს.

ალვანელი მეცხოველეები გაბედულ სიტყვას ამბობენ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის.

მარიკა გვიმრაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალისტური შეჯიბრების სათავეებთან

# არა, ეს არ იყო მოდა!

ელენა მიკულინა

(გაგრძელება)

ჩემთვის მოვლენები ახლა დღეობით კი არა, საათობით იზომებოდა.

სამი საათის წინათ წითელ მოედანზე მოვრბოდი შეშინებული იმის გამო, რაც ჩავიდინე. ახლა სასტუმროს დერეფანში ტელეფონთან გამოჩერჩეტებული ვიდექი და უაზრო თვალებით ვუცქეროდი კიბეს, რომელზეც ხალხი ადი-ჩადიოდა.

— ფეხზე ჩაგეცვათ, — თანაგრძნობით მითხრა დამლაგებელმა. — აი თქვენი ჩუსტები სად ყრია.

ჰო, ცხადია, უწინარეს ყოვლისა, ფეხზე უნდა ჩავიცვა. მერმე? რა გავაკეთო მერმე?

წლები მიდიოდა და მე ძალზე გულახდილი ვხდებოდი. რედაქციის თანამშრომლები, ჟურნალისტები, ყოველ შემთხვევაში ისინი, ვისთან ერთადაც ოთახში ვიჯექი, უნებურად ყოველთვის ჩემი შემოქმედებითი ინტერესების წრეში ექცეოდნენ. ისინი ჩემი ნარკვევების გმირებს იცნობდნენ, მათ ქცევას აფასებდნენ, თავიანთ აზრს გამოთქვამდნენ, რაც ჩემს თვალსაზრისს ყოველთვის როდი ემთხვეოდა. ერთი სიტყვით, მყავდნენ „გულშემატკივრები".

ცხოვრების მოვლენათა ასეთი კოლექტიური გააზრების მოთხოვნილება მას შემდეგ გამიჩნდა, რაც მივხვდი, შემიძლია მხოლოდ იმ ადამიანებზე ვწერო, რომლებიც ორგანულად იჭრებიან ჩემი, არა მარტო როგორც ჟურნალისტის, არამედ აგრეთვე როგორც ადამიანის ცხოვრებაში. როგორც მეგობრებს უზიარებენ თავიანთ საზრუნავსა და აზრებს, რედაქციაში ისე ვუზიარებდი თანამშრომლებს სხვადასხვაგვარი ადამიანების მღელვარებას, სიხარულსა და საზრუნავს, ადამიანებისა, რომლებზეც დაწერას ვაპირებდი.

მაგრამ ეს საკმაოდ გვიან მოხდა. ოცი წლისას მრცხვენოდა ჩემი საზრუნავი სხვისთვის დამეკისრებინა. ესეცაა, რომ, რასაც „რაბოტნიცასათვის" ვაკეთებდი, სრულებითაც არ შეესაბამებოდა ვეებერთელა მოცულობის სიტყვას — „შემოქმედება". პატიოსნად ვასრულებდი დავალებებს, ვიყავი გამოუწვრთნელი ქარგალი. რა მომეთხრო ჟურნალის თანამშრომლებისათვის? და ვინ მომეცა უფლება სამუშაოსათვის მომეწყვიტა ის ადამიანები, რომლებიც ჟურნალს ქმნიდნენ?

მეორე დღეს, რედაქციაში, სიტყვაც არ წამომცდენია გუშინ ტელეფონით გამართულ საუბარზე.

რედაქციაში მივიტანე მორიგი წერილი „კრასნი ბოგატირში" ჩატარებული კრების გამო, და შინისკენ გავეშურე. ჩემი ცხოვრება თითქოს ორად გაიყო. ის, რაც გუშინდლამდე იყო, — ნამდვილია, ის, რაც ხვალ, პარასკევს, იქნება — ბუნდოვნად, არარეალურად მეჩვენებოდა, როგორც სიზმარში იატაკი, რომელზეც დააბიჯებ და ფიცარს ფეხქვეშ კი არა გრძნობ.

ეს შეგრძნება იმდენად ძლიერი იყო, რომ როცა პარასკევი დადგა და საათმა ნაშუადღევის ორი უჩვენა, ცენტრალური კომიტეტის შენობაში, საშვებთა ბიუროს სარკმელში საშვი „კომუნისტკაში" შესასვლელად მოვიკითხე. იმდენად ძლიერ ვიყავი დარწმუნებული, რომ სხვა საშვი ჩემთვის არავის შეუკვეთია, და თუ სტალინის სახელს ვახსენებ, დამცინავ, განცვიფრებულ მზერას დამიწყებენ-მეთქი.

ლიფტითაც შემეძლო ასვლა. მე კი ფეხით ავდიოდი და კიბის ყოველ საფეხურზე უკან დაბრუნება მინდოდა.

ისევ მისაღები ოთახი. ისევ მკაცრად, გამომცდელად მიცქერის ჭაღარა ქალი, რომელსაც მეგერა შევარქვი. იცის თუ არა ეს მან?

კედლის გასწვრივ ისევ სხედან ხნიერი ადამიანები და მუხლებზე გატენილი პორტფელები უდევთ.

— თქვენი?!... მაგრამ ხომ გითხარით... — მდივნის ხმა თანაბრად ჟღერს. მას არ შეეფერება გიჩვენოს, რომ გიჯავრდება.

რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი მისი მაგიდისკენ. მისაღებში მსხდომნი ინტერესით მიცქერიან. ერთგვარი გამოცოცხლება მაინც შევიტანე მიღების წყნარ, დაძაბულ მოლოდინში.

— გამოძახებული ვარ, — ვლაპარაკობ ძალიან ჩქარა, — სტალინთან, სამი საათისათვის.

მგონი, შევნიშნე, რომ მდივანმა სიბრალულით გადმომხედა. მაგრამ ნომერი მაინც აკრიფა:

— ამხანაგო ტოვსტუხა, — თქვა მან, — აქ არის მიკულინა. ის ამბობს...

მდივანი ისმენს. შემდეგ ყურმილს დებს, ცნობისმოყვარეობით მიცქერის და მეუბნება:

— თქვენ კარები შეგეშალათ. კიბიდან მარჯვნივ უნდა გაგეხვიათ.

მართლაც კიბის თავზე ორი კარია. ერთ კარზე, საიდანაც ახლა გამოვედი, ცენტრალური კომიტეტის მდივნების მისაღები საათების განრიგია, მეორეზე, სადაც უნდა შევიდე, არაფერი არ აწერია. კარს ელვარე სახელური აქვს. შევაღე. ვიწრო დერეფანში მივდივარ. არავინაა. სიწყნარეა. დერეფნის ბოლოში ოდნავ ღია კარებია. შევედი.

ოთახი ვიწროა, გრძელი, აქვს ერთი ფანჯარა, რომელიც ახალ მოედანს გადაჰყურებს. კედლების გასწვრივ სკამებია ჩამწკრივებული. ფანჯრის ახლოს კუთხეში ბიურო დგას. მასზე და მის ირგვლივ პატარ-პატარა მაგიდებზე ტელეფონებია.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კომუნისტი ნოვატორი







კანონიერად ამაყობს თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის 5.000-კაციანი კოლექტივი თავისი ნოვატორი მუშით — ლამარა ჯეირანაშვილით. თოთხმეტი წლის გოგონა იყო იგი, როდესაც სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატთან არსებული 23-ე პროფესიული ტექნიკუმი დაამთავრა და კომბინატში მოვიდა სამუშაოდ. მას შემდეგ გეგმებს ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებს. მან წარმატებით დაამთავრა მერვე ხუთწლედი და უფრო მაღალი შრომითი მიღწევებით დაიწყო ახალი, მეცხრე ხუთწლედი.

ლამარა ჯეირანაშვილი ფთილისაგან ბამბის ძაფს ართავს. მისი ინიციატივით ახალ ხუთწლედში მუშები მომსახურების გაფართოებულ ზონაზე გადავიდნენ. თუ წინათ მომსახურების ზონა განისაზღვრებოდა 1100 თითისტარით, ახლა 1408 თითისტარს ემსახურებიან.

№ 1 სართავ საამქროში, რომელშიც ლამარა ჯეირანაშვილი მუშაობს, 315 მუშაა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით ლენინის ორდენით დაჯილდოვდნენ ლამარა ჯეირანაშვილი და ელენე კავთიაშვილი, შრომის წითელი დროშის ორდენი მიიღო ვარვარა ბაგურევიჩმა, „საპატიო ნიშნის" ორდენები გადასცეს სვეტლანა დრილაიშვილს და როზა აბუხაროვას. ამგვარად, № 1 სართავი საამქრო საჩვენებელია მთელ კომბინატში.

საამქრომ 1971 წლის პირველ ოთხ თვეში 58 ტონა ზეგეგმითი ნართი მისცა სახელმწიფოს, აქედან 2 ტონა ჯეირანაშვილის გამომუშავებულია. ლამარა ჯეირანაშვილმა ამ წარმატებას მიაღწია ძაფის წყვეტიანობის შემცირებით, მანქანების კარგი მოვლით, სამუშაო ადგილის მოწესრიგებით.

ღირსეულად დაუფასდა დაუღალავი შრომა კომუნისტ ლამარა ჯეირანაშვილს: მას მიენიჭა „კომუნისტური შრომის დამკვრელის" და „კომბინატის საუკეთესო მრთველის" წოდებანი, დაჯილდოვდა მედლებით.

ლამარა ჯეირანაშვილი იყო საქართველოს სსრ VI მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

ლამარასა და მის მეგობრებს კარგად ესმით, რომ სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული უდიდესი პროგრამის შესრულება მოითხოვს შეუპოვარ, შთაგონებულ, შემოქმედებით შრომას. პირველი საამქროს კოლექტივი დაძაბულად და დიდი შემართებით შრომობს, რათა ქვეყანას მისცეს მაღალხარისხოვანი ზეგეგმითი ბამბის ნართი.

ნუნუ ძამუკაშვილი

ნელი გაბრიჩიძე

## ახლა მის ღიმილს უთვალთვალებს სამყარო მთელი

სადღაც გამვლელთა შორის მოსჩანს ხუჭუჭა თავი,
სანაპიროზე მიჰქრის ბიჭი, შმაგი მხედარი,
ვუახლოვდები და მისხლტება, როგორც მყვინთავი,
ზღვის სიღრმეებში გაწაფული და გამბედავი.

— ბახ, ბახ! — აჩერებს მოქალაქეს ყიჟინით, სროლით,
ისიც „იბნევა“, იცინის და ხელს სწევს ტყვესავით,
ახლა ამ ძიას ელოდება სადილად ცოლი,
სტუმრად შესული მეგობარი და ნათესავი.

ის კი... დგას ხელებაშვერილი და სასაცილო,
ბავშვურ სიანცით ავსებია სათნო თვალები,
„ოღონდ სათვალე არ გატეხო, ფრთხილად, ყმაწვილო,
და სათუთუნე შენი იყოს, არ გედავები“.

ის ზღვის დონიდან ერთი მეტრიც არ არის ჯერა,
ვინ დაიჯერებს, საეშმაკოდ რომ არ ვაქეზებ,
აგერ, ახალი მსხვერპლი ნახა, ჭაბუკი ქერა,
და შეთქმულივით პაწაწა თითს ადებს ბაგეზე.

მესმის ჩურჩული: „ვინადიროთ მე და შენ მგლებზე“,
მესმის ჩურჩული: „ცისარტყელა მიყიდე, ძია!“
„გველეშაპები იძინებენ აი, ამ კლდეზე“,
„რძე ბოთლებშია, მაგრამ იცი, ძროხაშიც რძეა!“

ემშვიდობება ყველა გამვლელს და ესალმება,
ჩამოფხატვია შავ თვალებზე თმა-ბურბუშელა,
რა უყვარს? ზღვა და საქანელა. რა ეჯავრება?
არ დაიძინებს, ზღაპრის გუდამ თუ არ უშველა.

გარბის ზღვის გასწვრივ ყავისფერი, ტიტველა ბელი,
ეკითხებიან: — შენ რა გქვია? — პასუხობს: — ბიჭი!
ახლა მის ღიმილს უთვალთვალებს სამყარო მთელი.
მზემ დაანათლა სიყვარულის, სიცილის ნიჭი.

მე კი მადარდებს: არ ენახა ნეტავი სროლა,
ნეტავ ეკრანზეც არ ეხილა, კაცს რომ ჰკლავს კაცი,
ო, ნეტავ ისე წარიმართოს სამყაროს სრბოლა,
რომ არ მოესწროს ომს და განგაშს ბიჭუნა ანცი.

ო, ნეტავ შერჩეს ტყვიის ნაცვლად კენჭები ჭრელი,
ნეტავ არასდროს არ დასწყევლოს გაჩენის წუთი,
ნეტავ არასდროს არ გასცვალოს სოფელი ჩვენი,
ნეტავ არასდროს გაიმეტოს ნამუსის ქუდი.

ჯერ ვინ აუხსნის დედის ფიქრებს, რა თარჯიმანი,
ჯერ ვინ აიყვანს მწვერვალებზე გადასაფრენად,
ვინ უნდა უთხრას, ვინ აუწყოს, რომ ამირანი
ამაოდ როდი გავიმეტე მისთვის სახელად.

თავბრუდამხვევი ლტოლვა მისი ვინ შეაჩეროს,
ეს სტიქიური გაქანება, ზვავს რომ მაგონებს,
როდის იქნება, ელვით გული რომ შეაჯეროს
და ფიქრიანად ესათუთოს ძვირფას მთა-გორებს.

ჯერ კი: ჰაერში — ბაირაღად დაიკოს კაბა!
ჯერ კი: მიგორავს სველ სილაზე ტიტველა ბელი!
ახლა იმისთვის სულ ერთია ქალაქი, დაბა,
და ვერ გრძნობს, როგორ უალერსებს სამყარო მთელი!

# ვენერა ჯაფარიძე

ბევრისათვის ეს სახელი უცნობია — იმდენად მოკრძალებული და ჩუმი შემოქმედი იყო იგი. ცხოვრობდა, სწავლობდა ქუთაისში — ვარდებისა და მაისის ქალაქში. ერთხანს რუსეთის თვალუწვდენელ ველებზე დადიოდა, და მისი თავისთავადი პეიზაჟის ტყვედ გრძნობდა თავს. შემდეგ აფხაზეთის მშვენება ჩაუსვა თვლად თავის ლექსებს. ლექსებს წერდა, იბეჭდებოდა, მაგრამ თავის პირველ წიგნსაც ვერ მოესწრო. და მაინც ვენერა ჯაფარიძეს იცნობდა ყველა, ვინც თაყვანს სცემს პოეზიას.

ვენერა ჯაფარიძე შარშან გარდაიცვალა. მას ბევრი ლექსი დარჩა. ესაა მისი პატარა მემკვიდრეობა, რომელსაც აუცილებლად უნდა აჩუქონ სიცოცხლე.

## ლირიკული სტრიქონები

ქარმა ნისლივით ხევ-ხევ მატარა
და ქარაფებმა ბევრი მაწვალეს,
მე სად წავიდე ასე პატარა,
მოდი, ცხოვრების გზა გამასწავლე.
ამ სიმღერებით არ დავიღლები,
მსურს სიკვდილამდე ასე ვიარო,
გზაზე მხვდებიან ვარდ-ყვავილები,
შენც შემეგებე, ცელქო ნიავო.
წინ კვლავ გზა არის, დიდ მიზანს ვუმზერ,
მრუდე ბილიკით გულს არ უვლია,
სამშობლოს შუქი მეფინოს გულზე, —
ეს უფრო დიდი სიყვარულია.
გზაში მგზავრივით დაგდარებივარ,
შეგხვდი...
ხელიც არ გამომიწოდე,
დღეს უკვე მივხვდი —
არ გყვარებივარ,
მაგრამ ეს ახლა არც მსურს ვიცოდე.
გზაზე უშენოდ არ დავეცემი,
შენც სიხარული ისევ გეწვევა...
მიყვარდი მისთვის, რომ ეს ლექსები
უსიყვარულოდ არ დამეწერა.

## ამღერებულო მდინარევ!

ამღერებულო მდინარევ,
ქუხილო წყაროს წყალის.
ჰეი, თქვენც შემეხმიანეთ
მთებო, ადამის ჟამის.
არც მოხატული წარბი მაქვს,
არც გასაკვირი ნიჭი,
ჩემი შავთვალა წამიყვანს —
ერთი ალალი ბიჭი.
წამყვეს სიმღერა ქართული,
შეჯახებული ქართან.
გადამატარონ მაყრულით
ცხრა სოფელი და ცხრა მთა.
არც ისპაჰანის ტურფა ვარ,
არც ყაზანლიყის ვარდი,
მინდვრის ყვავილის სუნთქვა ვარ.
ლხენაც ვიცი და დარდიც.
არც მზესთან მისათვალი ვარ,
არც შუქი მახლავს მთვარის,
ერთი უბრალო ქალი ვარ,
წუნარი, მშრომელი ქალი.
შენ გეტრფი, შუქმომფინარევ
ლურჯო ნაჭერო ცისა,
ამღერებულო მდინარევ,
აყვავებულო მიწავ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა ახალაძე

# წარსულის ექო

**პარიზი. 1965 წ. 15/IX**

**კესო!**

არ ვიცი, როგორ დავიწყო. ჩემი პატიება არ შეიძლება. მე თავად ვიცი, რაოდენ დიდია ჩემი დანაშაული. მაინც, თუ შეგიძლია, ნუ გადააგდებ და წაიკითხე ეს ბარათი. იქნებ, შენმა მოწყალე გულმა შემინდოს და მომიტევოს.

მე ერთი ეულად დარჩენილი, სამშობლოსაგან მოშორებული მარტოსული ვარ, რომელსაც სამშობლო მიწის სურნელი ენატრება, ენატრება მისი ზეცის ხილვა და შენი თანაგრძნობა.

ამ დღეებში პარიზში ქართული ცეკვის ანსამბლის გასტროლები ტარდებოდა. აქაური ქართველობა ყოველ კონცერტს ვესწრებოდით. ო, რა საოცრად ტკბილი იყო მშობლიური ჰანგების სმენა, ქართული რიტმის შეგრძნება. ამ დღეებში ჩემი სიჭაბუკით ვცხოვრობდი. მომაგონდა შენთან გატარებული დღეები, ჩვენი ჯვარისწერა და ჩვენი საქორწილო „ქართული“. შენი თვალები წარმომიდგა, შველის თვალებივით დამფრთხალნი და დამორცხვებულნი. ოჰ, რა ბედნიერი წუთები იყო, ნუთუ კიდევ მოვესწრები შენს ნახვას, შენი ხმის გაგონებას.

გასტროლების დამთავრების შემდეგ პარიზის ქართულმა საზოგადოებამ ვახშამი მოაწყო ანსამბლის წევრთა პატივსაცემად. ვახშამზე სამმა ვაჟმა ქართული სიმღერები დაამღერა. ერთ სიმღერაში ასეთი სიტყვები იყო:

რა დამავიწყებს შენს ლამაზ თვალებს,
რამ დამავიწყოს ეგ ალუბლები,
იცოდე, როცა სხვას შეეიყვარებ,
შენს სიყვარულზე ვესაუბრები.

რა მართალი და რა ლამაზი სიტყვებია. ერთ რამეში კი დავრწმუნდი: სადაც არ უნდა ვყოფილიყავი, ყველა ქალში მხოლოდ შენს ხატებას ვეძებდი, ვეძებდი შენს თვალებს, მიხრა-მოხრას, და, მართლაც ყველა ქალი, რომელთანაც მე რაღაც მაკავშირებდა, საოცრად ჩამოგგავდა შენ. და მათთან გატარებული ყოველი დღე მუდამ შენი მოგონებით მთავრდებოდა.

ვახშამზე შენი ბიძაშვილის — შალვას ბიჭი გავიცანი. ძალიან გამეხარდა ჩემი კუთხის კაცის და შენი ახლობლის ნახვა. შენს შესახებ ყველაფერი გამოვკითხე. ხვალ იგი თბილისში მოფრინავს და სწორედ მას ვატან ამ წერილს და პატარა ნობათს. ეს ნობათი იყოს ჩემი საქორწილო საჩუქარი, რომელიც 45 წლის წინ უნდა მომერთმია. მიიღე იგი და ხელს ნუ მკრავ. გულისფანცქალით ველოდები შენს პასუხს.

**მარად შენი**
**ლევან მინდელი.**

**თბილისი, 1965 წ. 1/X**

**ლევან!**

წერილს როცა ვკითხულობდი, თვალებს არ ვუჯერებდი. ღმერთო ჩემო, საიდან მომევლინე! მე უკვე დიდი ხანია საიქიოს მკვიდრად გთვლიდი. შენი წასვლის შემდეგ თბილისში გადავედი ჩემს ძმასთან საცხოვრებლად. მერე მუშაობა დავიწყე. ათი წელი გელოდე. თვალები გამომილამდა, ბოლოს გამოგიტირე, შენი დავიწყება ვცადე. სამსახურში ერთ პატიოსან კაცს მოვწონდი და იმას გავყევი ცოლად.

შენმა იდეებმა დაგვღუპა ორივენი. ნეტავ სად მირბოდი? რა დაგრჩენოდა მანდ, ან რისი იმედი გქონდა? მიმატოვე 4 თვის შერთული ცოლი, მერე როგორი ცოლი, მოტაცებული ქალი (თუმცა მე თვითონ გამოგყევი). სამი თვის ფეხმძიმე ვიყავი. ნერვიულობისაგან მუცელი მომეშალა და იმის შემდეგ ახლაც უშვილო ვარ.

გახსოვს, რა ბედნიერები ვიყავით? მამაჩემს არ უნდოდა შენი სიძეობა, მაგ მენშევიკს ქალს როგორ გავატანო, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. მე კი ავდექი და გამოგყევი, ზესტაფონიდან ქუთაისში გავიპარეთ. საფიჩხიაზე ოთახი ვიქირავეთ. რა ტკბილი დღეები გავატარეთ იქ! აფსუს! მე ახლაც იმ დღეებით ვცოცხლობ და რომ მკითხონ — როდის იყავი ყველაზე ბედნიერიო, დაუფიქრებლად ვუპასუხებ: მხოლოდ შენთან. ასეა, ადამიანს ყოველთვის უნდა რომ კარგი ახსოვდეს და წარსულის ტკბილ წუთებს იგონებს. ის სიმწარე კი რაც შენგან განშორებით, და შემდეგ ოჯახში დაბრუნებულმა, აბუჩად აგდებით განვიცადე, კარგა ხანია დავივიწყე. და თუ ახლა გამახსენდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მან რაღაც კვალი დატოვა ჩემში. ისე კი, დიდი ხანია გაპატიე! მე ბედნიერი ვიყავი იმით, რომ შენ არსებობდი, და თუნდაც მცირე ხნით იყავი ჩემი.

შენი საჩუქარი გამეხარდა. ჩემი ქმარი მიყურებდა და იძახდა, — გადამერია დედაბერიო. მერე გამაქილიკა: შენ კიდევ შეაცდენ ვინმესო. ამას გულით კი არ ამბობს! ჩვენ პატივს ვცემთ ერთმანეთს. ერთმანეთის მეტი არავინ გაგვაჩნია. ახლა ორივე პენსიონერები ვართ.

შენი ამბავი მომწერე, დაწვრილებით. სად იყავი, როგორ ცხოვრობდი?

P. S. გიგზავნი პატარა ამანათს, მგონი, გაგეხარდება.

**კ ე ს ო.**

**პარიზი, 1965 წ. 10/X.**

**ჩემო კესო!**

მესიამოვნა შენი ამანათი. უფრო მეტად კი იმიტომ, რომ ჩემი საყვარელი ტკბილიკვერი, ჯანჯუხები და სანთლის არაყი გამოგიგზავნია. თუმცა არაყი ვერ გეახელი. ამ ბოლო ხანებში გული მაწუხებს.

შენ მართალი ხარ! ადამიანისათვის მხოლოდ ერთი ჭეშმარიტება არსებობს — იყოს ადამიანი და უყვარდეს ადამიანი. დანარჩენი ყველაფერი დროისა და ეპოქის მოტანილია.

ცხოვრებაში ბევრი ჭირი გადამხდა. სჯობდა, ეს ჩემი სამშობლოს გულისათვის ყოფილიყო. მაგრამ თავს იმით ვიმშვიდებ, რომ აქ მუდამ სამართლიანობის მხარეზე ვიბრძოდი და, ამით ჩემი სამშობლოს სახელს მაინც არ ვარცხვენდი.

საქართველოდან წამოსვლის შემდეგ, პარიზში სამედიცინო ფაკულტეტი დავამთავრე. როცა მენშევიკურ მთავრობას სამშობლოში დაბრუნების იმედი დაეკარგა, ოჯახს მოვეკიდე. ცოლად შევირთე ფრანგი ქალი. მასთან ორი შვილი შემეძინა, ისინი ჩემი სისხლი და ხორცი არიან, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ არაფერი გააჩნიათ ქართული, გარდა ჩემი გვარისა და სახის ზოგიერთი ნაკვთისა.

საქართველოდან წასულები თავს ვერაფრით გავიმართლებთ. ჩვენ დავაშავეთ, რომ მივატოვეთ საქართველო. უფრო მეტად დამნაშავე ვართ, რომ ჩვენი თესლი სხვა ნიადაგზე დავთესეთ და უცხო სულიერ სამყაროში გავაღვივეთ. ისინი ჩვენზე უფრო მეტად დაკარგულნი არიან საქართველოსათვის. ჩემო კესო, თუ ქართველმა ქართული „ივანანა“ არ მოისმინა, თუ მან ქართული მიწის სურნელი არ იგრძნო და პირველად ქართულ ენაზე არ დაიწყო მეტყველება, მას ქართველს ვეღარ დაუძახებ.

ომი რომ დაიწყო და პარიზი დაეცა, ქართველი ემიგრანტების ნაწილმა გერმანელებს შესთავაზა თავისი სამსახური. ამ გზით ფიქრობდნენ საქართველოში დაბრუნებას. ჩემთვის გერმანიის მხარეზე ბრძოლა იგივე იყო, რომ მებრძოლა ჩემი სამშობლოს წინააღმდეგ. ამიტომ, საფრანგეთის არმიაში დავიწყე სამსახური ექიმად. ომის დროს ტყვედ

ჩავვარდი და ერთ წელს ვჩეჩე ფაშისტების ბანაკები. მერე გამოვიქეცი და საფრანგეთის არმიას დავუბრუნდი. არმიისათვის არც ომის შემდეგ დამინებებია თავი. მხოლოდ ორი წელია გადავდექი.

ამ ბოლო დროს ხშირად ვფიქრობ სამშობლოში დაბრუნებაზე. აქედან რამდენიმე კაცი უკვე გამოემგზავრა. არა მგონია, მართლაც ისეთი სიმკაცრე იყოს როგორც დასავლეთის პრესა და რადიო ქადაგებს საბჭოეთის ქვეყანაზე. ვის რაღად უნდა ჩემი ჩაჩანაკი თავი. მე მხოლოდ ერთი სურვილი მაქვს, მშობლიურმა მიწამ მიმიბაროს.

ამ დღეებში ჩემს ვაჟებს ველაპარაკე. ვთხოვე წამოსულიყვნენ საქართველოში, მაგრამ ორივემ უარი მითხრა და მშვიდობით მგზავრობა მისურვა. ცნობისათვის, — ჩემი ერთი ვაჟი ეკონომისტია და ტრესტ „სიტროენში" მსახურობს, ხოლო მეორე გაზეთ „მონდის" კორესპონდენტია. ცოლი კარგა ხანია აღარ მყავს...

კესო, უფრო მეტი მომწერე შენზე, ჩვენს ნაცნობ-მეგობრებზე. მინდა უფრო მეტი ვიცოდე საქართველოზე.

**შენი ლევანი.**

გიგზავნი ჩემს სურათს. თუ კარგად დააკვირდები, იგი გიამბობს, თუ რამდენი ჭირი გამოვიარე.

**ლეო.**

**თბილისი 1965 წ. 25/X.**

**ლევან!**

როცა შენი პირველი წერილი მივიღე, ჩემს მეხსიერებაში აღდგა შენი სახება, გარეგნობა ადამიანისა, რომელიც მარად ჩემი ოცნების რაინდად დარჩა. მე შენ ყოველთვის ისეთი მახსოვდი, როგორმაც დამტოვე. შემდეგ წარმოვიდგინე დღევანდელი შენი სახე და ჩემს წარმოდგენაში დავხატე, როგორც გამელოტებული მოხუცი, რომელსაც ჩემი ოცნების რაინდის მხოლოდ მოციმციმე თვალებიღა შერჩენოდა.

ახლა დავცქერი შენს სურათს და ჩემს წინ დარბაისელი ვაჟკაცის სახეა, რომლისთვისაც ჟამთამსვლელობას მხოლოდ მარჯვენა წარბთან იარა და თმაში ჭაღარა დაუტოვებია. შემიძლია ქათინაური გითხრა: შესანიშნავად გამოიყურები!

ჩემს სურათს არ გიგზავნი, არ მინდა შენი მოგონებები შევურაცხყო. მინდა შენში ისეთი დავრჩე, როგორიც გახსოვარ.

ჩემზე რა მოგწერო? მე ახლა ბედნიერად ვგრძნობ თავს. ასე მგონია, კვლავ ახალგაზრდა ვარ და კვლავ შენთან მაქვს მიმოწერა. ჩემი ქმარი ხანდახან ბუზღუნებს ხოლმე, მგონი, ეჭვიანობს კიდეც, მაგრამ არაფერს მეუბნება. ოწმუნდება, რომ ვერც მანძილი და ვერც ასაკი ჩვენ ვერ გაგვაერთიანებს და არ მიშლის ამ სიამოვნებას. მე ახლა ორი ცხოვრება მაქვს, ერთი რეალური — დღევანდელი და მეორე ჩემი, სიზმარეული. სიზმრებში ყოველთვის ახალგაზრდა ვარ და შენთან ერთად ჩვენს სოფელში ვიმყოფები იმდროინდელი ნათესავ-მეგობრების წრეში.



მხატვარი ცისანა ტერელაძე

კარგს იზამ, თუ ჩამოხვალ. აქ არავინ არაფერს ღაგიშავებს. ემიგრანტები, ვინც დაბრუნდნენ, ყველას სამსახური და ბინა მისცეს. ძალიან ბედნიერი ვიქნები შენი ნახვით.

**კესარია.**

**დეპეშა**

**თბილისიდან**

**30/X**

**ბატონ ლევან მინდელს**

დავსტირი ტრაგიკულად დაღუპულ მეუღლეს.

**კესო.**

**ქალბატონ კესარია ნუცუბიძეს**

**დეპეშა**

**პარიზიდან**

**1/IX.**

ვიზიარებ შენ მწუხარებას.

**ლევანი.**

**პარიზი 1965 წ. 5/XI.**

**ჩემო კესო!**

ძალიან დამამწუხრა შენმა დარდმა. შემებრალა საწყალი! ბედისწერას ვერსად წაუხვალ. ბედმა, ალბათ, კვლავ ჩვენი გაერთიანება მოინდომა (არ მიწყინოს ღმერთმა). ჩემი საქმეები კარგად არის. პარიზის საბჭოთა საელჩო ვიზას დამპირდა. ახლა ოფიციალური და ფინანსური საქმეები მაქვს მოსაგვარებელი და ალბათ ერთ თვეში მანდ ვიქნები. აი, ჩამოვალ და ჩვენ ისევ ბედნიერები ვიქნებით. არ ვარგა სხვის უბედურებაზე საკუთარი ბედნიერების აგება, მაგრამ აქ მე მასთან ბარი-ბარში დავრჩები, რადგან ადრე იგი ჩემი ბედის უკუღმართობით გაბედნიერდა.

ცოტაც მოიცადე და ერთად გავატაროთ დარჩენილი ორი პარასკევი.

**გკოცნი, შენი ლევანი.**

**თბილისი 1965 წ. 15/XI.**

**ლევან!**

დიდი მადლობა ყურადღებისათვის. შენი დეპეშა ძალიან გამეხარდა. მან აქ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ჩემს ნათესავებს შორის. ზოგმა ისიც კი თქვა, ქმარი მოაკვ-

ლევინაი, რომ შენ თავისუფალი დაგხვედროდი.

ადრე შენთვის არ მომიწერია, რომ ჩემს ქმარს ამ ბოლო წლებში ტრავმის შედეგად ეპილეფსია დაემართა. იმ უბედურ დღეს ქუჩაში გადასვლისას დაეწყო ბნედა. ამ დროს მანქანა დაეჯახა და იქვე გათავდა საწყალი. მძღოლი სულ ახალგაზრდა ბიჭი იყო, ახლად დაქორწინებული. იგი დამნაშავე არ იყო და შემებრალა, რომ მის მიმართ საჩივარი აღმეძრა. ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ ასეთი საზიზღარი ჭორები გაევრცელებინათ ჩემზე.

ახლა მე ძალიან უბედური ვარ. მხოლოდ შენი გახსენება მაძლევს შვებას. საშინელება ყოფილა მარტოობა. ჩემი ქმარი რომ დავმარხე, ერთი კვირა მეზობლის გოგო ათევდა ჩემთან ღამეს. მეშინოდა სახლში მარტო დარჩენა.

აწი შენი მოლოდინი მაცოცხლებს და იმედს მაძლევს. ვინც რა უნდა, ისა თქვას, ახლა ჩემთვის სულერთია.

**კესო.**

**დეპეშა**
**პარიზიდან. 28/XI.**

**კესარია ნუცუბიძეს**

ვიზა მივიღე, ხვალ მოსკოვში ვიქნები, მელოდე.

**ლევანი.**

**დეპეშა**
**მოსკოვიდან. 25/XI.**

**ქალბატონ კესარია**
**ნუცუბიძეს**

მიიღეთ ჩვენი გულწრფელი თანაგრძნობა თქვენი მეუღლის, საფრანგეთის არმიის თადარიგის პოლკოვნიკის — ლევან მინდელის სიკვდილის გამო. იგი გარდაიცვალა გუშინ, სასტუმრო „უკრაინაში" მიოკარდის ინფარქტით. ანდერძის თანახმად, რომელიც მან სიტყვიერად გადმოგვცა საფრანგეთის საელჩოს მუშაკებს, მისი გვამი გადმოგზავნილი იქნება თბილისში, რომელსაც გამოჰყვება საელჩოს თანამშრომელი. მისი უკანასკნელი სურვილი იყო, რომ დაიმარხოს თავის მამულში, თქვენს მიერ შერჩეულ ადგილას.

**ღრმა პატივისცემით**
**საფრანგეთის საელჩოს რწმუნებული**
**მიშელ ალენი.**

* * *

ორშაბათი დღე იყო. სასაფლაოზე სამსახურიდან მოსული ჭირისუფლები ტრიალებდნენ. ამ დღეს დაკრძალვა არ ხდება ხოლმე და მოთქმასაც იშვიათად გაიგონებ. შემაღლებულ ბორცვზე, გრანიტით მომიჯნულ საფლავზე ერთი შუახნის, კარგად შენახული დედაკაცი ყვავილების ჩითილებს რგავდა. საფლავზე ორი მარმარილოს ქვა იდო. ერთ მათგანზე საფრანგეთის არმიის ოფიცრის მომხიბლავი ფოტო იყო. მეორეზე — რკინიგზელის ფორმაში გამოწყობილი დარბაისელი მოხუცის სურათი.

გაზაფხულის მშვენიერი საღამო იყო. ირგვლივ ყველაფერი ჰყვაოდა.



# ლოლა ლომთათიძე

მას კარგად ახსოვს 1918 წელს ხიდისთავში ბორის ძნელაძის ჩასვლა. ხიდისთაველ ახალგაზრდებს ამხანაგმა ბორისმა, როგორც „სპარტაკელმა", თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლისაკენ მოუწოდა.

14 წლის იყო ლოლა ლომთათიძე „სპარტაკელთა" ორგანიზაციის წევრი რომ გახდა. მალე ჩოხატაურში ბორის ძნელაძის აქტიური მონაწილეობით მენშევიკთა წინააღმდეგ გამოსვლები მოეწყო. ლოლაც მონაწილეობდა ამ გამოსვლებში.

გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ და ლოლა ახალი ცხოვრების მშენებელთა მოწინავე რიგებში ჩადგა.

1924 წელს მენშევიკების ავანტიურისტული გამოსვლების დროს, 20 წლის ქალიშვილი შეუცდომლად ასრულებდა პარტიის ყოველ დავალებას. ამიტომაც იყო, რომ ლენინური გაწვევით იმავე წელს პარტიის რიგებში მიიღეს.

ბევრი წინააღმდეგობისა და სიძნელის გადალახვა მოუხდა ახალგაზრდა კომუნისტს მუშაობის პროცესში, განსაკუთრებით — საკოლმეურნეო მშენებლობის პირველ წლებში. იგი ამ სიძნელეებს წარმატებითართმევდა თავს.

1929-1931 წლებში ლოლა ლომთათიძე ცეკავშირის ქალთა განყოფილების გამგედ დაინიშნა. იგი მუშაობას ატარებს ქალთა შორის, თელავში, სიღნაღსა და მესტიაში აყალიბებს ქალთა განყოფილებებს, სამტრედიაში, მახარაძეში, ზუგდიდსა და საქართველოს რესპუბლიკის სხვა რაიონებში თვეობით იმყოფება კოლმეურნეობებთან საბავშვო დაწესებულებების დასაარსებლად.

ლოლას მიზანი მაინც ახალგაზრდობის აღზრდა იყო. პროფესიით პედაგოგმა, საბოლოოდ მაინც სკოლა აირჩია. სხვადასხვა დროს თბილისის 27-ე, 28-ე, 30-ე და სხვა სკოლებში ასწავლიდა საქართველოს ისტორიას. მაგრამ მარტო საგნის სწავლება არ იყო მისი მიზანი. იგი ზრდიდა ახალგაზრდობას ჭეშმარიტ ადამიანებად, სულით მდიდარ, მაღალი შეგნების მოქალაქეებად.

სადაც კი უმუშავნია, სსრკ ისტორიის მასწავლებლად, თუ სკოლის დირექტორად, ქალთა განყოფილების გამგედ თუ უდედმამო ბავშვთა კომისიის წევრად, პროპაგანდისტად თუ ლექტორად — ყველგან იჩენდა საქმისადმი დიდ სიყვარულსა და თავდადებას.

ეს მაღალი თვისება მას ოჯახმა ჩაუნერგა, მამა თედორე — როტშილდის ქარხნის მუშა, სულით და გულით ბოლშევიკებს უთანაუგრძნობდა, შვილებიც — ლოლა და მიხეილი კომუნისტური სულისკვეთებით აღზარდა.

ტრადიცია გაგრძელდა. ლოლამაც შესანიშნავ მოქალაქეებად აღზარდა თავისი სამი შვილი.

ლოლა ლომთათიძე დღესაც დატვირთულია პარტიული და საზოგადოებრივი დავალებებით. იგი ვეტერან ქალთა საბჭოს აქტიური წევრია, მონაწილეობს სასკოლო ცხოვრებაში, კითხულობს მოხსენებებს, კვლავ საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულში ტრიალებს.

**მარიამ ჭავჭანიძე,**
საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ასე ყველა ვერ იცხოვრებდა

გოგონას ძალიან უყვარდა, როცა მათთან — თიანეთში ფშაურ ჩოხაში გამოწყობილი კაცი მივიდოდა და ბუნებასა და მცენარეთა სამყაროზე დაიწყებდა საუბარს. ის უფრო მეტად ბედნიერი იყო მაშინ, როცა სტუმარი ღამითაც მათთან დარჩებოდა და ჯერ არგაგონილ „ზღაპრებს“ ჰყვებოდა...

— რატომ გახმა წიფელი, მამა?

— ალბათ, რაიმე სატკივარი შეეყარა!

— ხეებიც ხდებიან ავად?

— ხდებიან, ყველაფერს აქვს თავისი ჭირი.

ასეთი საუბარი იმართებოდა მამა-შვილს შორის, როცა სტუმარი წავიდოდა.

ის ჩოხიანი კაცი მისი მამის — გრიგოლ ვაშაძის მეგობარი, დიდი მგოსანი ვაჟა-ფშაველა იყო; გოგონა კი დღეს ცნობილი ენტომოლოგი ვალენტინა ვაშაძეა.

მაშინ გადაწყვიტა ვალენტინამ გამხდარიყო საქართველოს ულამაზესი ფლორის დამცველი და როცა უმაღლეს სასწავლებელში სწავლის დრო დაუდგა, ისე შეიტანა საბუთები თბილისის ახლადგახსნილ უნივერსიტეტში აგრონომიულ ფაკულტეტზე, რომ არც დაფიქრებულა.

მე-4 კურსის სტუდენტი იყო, მისი უფროსი ძმა რომ პარიზში წავიდა საცხოვრებლად. ეს ის წლებია, როცა მსოფლიოს ქალაქთა შორის პარიზი პირველობს და მთელი მოწინავე კაცობრიობა იქით მიილტვის. და, რა გასაკვირია, რომ მეოცნებე ქალიშვილიც ეტანა დიდ შემოქმედთა და სტუდენტთა ქალაქზე ფიქრს; 1923 წელს ვალენტინა პარიზს გაემგზავრა.

პარიზი — შთაგონებებისა და ასოციაციების წყარო, მონმარტრი და ელისეს მინდვრები... მძლავრად სცემს ქალაქის არტერია; ქართველ ინტელიგენტთა ჯგუფიც ტრიალებს აქ. ქუჩაში გაუშლიათ მოლბერტი ელენე ახვლედიანსა და ლადო გუდიაშვილს... იმართება საღამოები, შეხვედრები, კამათობენ, დაობენ...

აი, ამ წრეში ტრიალებს ვალენტინა ჩასვლის დღიდანვე და იგი არა მარტო სწავლობს და ეცნობა მსოფლიოს ულამაზეს ქალაქს, არამედ საზოგადოებრივი საქმიანობის აქტიური მონაწილეც არის...

ნიჭიერი და უნარიანი, ჩქარა ეუფლება ფრანგულ ენას და სორბონის უნივერსიტეტში აბარებს მისაღებ გამოცდებს; იმხანად აგრონომიულზე ქალებს არ იღებდნენ და ისიც იძულებულია მცირედ გადაუხვიოს არჩეულ გზას და ბიოლოგიურზე ისწავლოს...

უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე საქართველოში დაბრუნდა. 1927 წელი იდგა. საბჭოთა ქვეყანას გრანდიოზული გეგმები ჰქონდა დასახული და ჰაერივით ჭირდებოდა კვალიფიციური კადრები, ჰოდა, ხალისითა და სიცოცხლით სავსე ქალიშვილი მთელი გატაცებით შეუდგა შრომას.

მიწათმოწყობის სახალხო კომისარიატი, ყარაიასა და სკრის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობები, ხანგრძლივი სამეცნიერო მივლინება ლენინგრადში და ბოლოს — სოხუმი. თავის საბოლოო სამოქმედო ასპარეზად მან აირჩია სოხუმის ბოტანიკური ბაღი, ერთ-ერთი უმდიდრესი ბაღი მსოფლიო ფლორის იშვიათობებით.

დღეს ვალენტინა ვაშაძე 40-ზე მეტი შრომის ავტორია. მან გამოავლინა და შეისწავლა 140-მდე მავნე მწერის სახეობა, რომელნიც დეკორაციულ მცენარეებს აზიანებენ აფხაზეთის შავი ზღვის სანაპიროზე. მისი მეთოდით მკურნალობენ ვარდისა და ცაცხვის მავნებლებს. მან დაადგინა კამელიის დარგვის ისეთი წესი, რომ ჩაის ჩრჩილი ვერ აზიანებს მას, აღმოაჩინა დეკორაციული მცენარეების თესლთა მავნებლები, შეისწავლა ცვილისებური ცრუფარიანას წინააღმდეგ ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდები და სხვა.

ჩამოთვლა იოლია: მუშაობდა აქა და აქ, შეისწავლა ესა და ეს... მაგრამ რამდენი შრომა, ნებისყოფის დაძაბვა, იმედის გაცრუება და კვლავ ძიება, დაუსრულებელი ძიებაა საჭირო, რომ შეისწავლო, აღმოაჩინო, სიახლეს მიაგნო!

მას ხშირად მოსდის წერილები რუმინეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, საფრანგეთიდან, ბრაზილიიდან, შვეიცარიიდან... საზღვარგარეთელი კოლეგები სთხოვენ ქართველ ენტომოლოგს გაუზიაროს თავისი გამოცდილება და საკუთარ მიღწევებსაც სთავაზობენ.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომი, 72 წლის ქალი — ვალენტინა ვაშაძე დღესაც ეძებს, სწავლობს... მან სულ ახლახანაც ჩაატარა ექსპერიმენტი ფრანგულ, შხამიან მისატყუებელ „არიოტოქსზე“. საფრანგეთში მას მხოლოდ უნიკალური ლოკოკინების დასახოცად ხმარობენ, ჩვენმა მკვლევარმა კი იგი ღრაჯის მატლებისა და მახრების საწინააღმდეგოდ გამოიყენა და საუკეთესო შედეგი მიიღო.

უყურებ ამ პატარა ტანის კაფანდარა ქალს. რომლის ცხოვრებაც ისეთივე ნათელია, როგორც მისი ფერფლისფერი თმით დამშვენებული სახე და გიკვირს, საიდან აქვს შემორჩენილი ამდენი ენერგია და სიხალისე? მაგრამ ვისაც მთელი სიცოცხლე ზრუნვასა და საქმეში გაუტარებია, მისთვის შრომა ორგანულია.

— პირადი ცხოვრება?! — გაკვირვებული და თითქოს ნაწყენიც შემოგიბრუნებთ კითხვას:

— მე წლების მანძილზე ვზრუნავდი ობლად დარჩენილ საკუთარ და-ძმებზე. ვიპოვე ჩემი გარდაცვლილი დის შვილი, რომელიც ომის დროს დაიკარგა რუსეთში, და გავზარდე. საკუთარ ოჯახზე რომ მეფიქრა, ესენი დაიღუპებოდნენ, ერთი სიცოცხლე კი მეტს ვერ იტევს...

„ასეთი კითხვა არც უნდა დასვა“, — ჰფიქრობ შენთვის. ბოლოს და ბოლოს ასეთი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ვის გაზრდი? მთავარია, ადამიანებზე ზრუნავდე... პირიქით, ყველა ვერ იცხოვრებდა ასე.

ამას გონებით ამბობ, გული კი... გული მაინც გეთანაღრება, გენანება გაფრენილი ახალგაზრდობა, გვერდზე დარჩენილი ბევრი ლამაზი ოცნება, ურომლისოდაც სიცოცხლეს აკლია აღმაფრენა...

მაგრამ მაინც ამბობ და გჯერა, რომ ვალენტინა ვაშაძისნაირად მხოლოდ იმას შეუძლია ცხოვრება, ვისაც მაღალი ადამიანური მრრალი გააჩნია.

**ნინო ახალკაცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ႥႠႪႫႭႾႣႨႪႨ



ნინო ხერხეულიძის რევოლუციური მოღვაწეობა დაიწყო მისი გათხოვების შემდეგ, როცა იგი საცხოვრებლად გადავიდა ბაქოში. 1905 წელს ნინო დასახლდა ბალახანაში, ნავთის ქარხნის ტერიტორიაზე და დაუახლოვდა იქაურ მუშებს. იგი დადიოდა მათ ოჯახებში, უკითხავდა მარქსისტულ ლიტერატურას, აძლევდა ახსნა-განმარტებას მათთვის გაუგებარ საკითხებზე. მის ბინაში იკრიბებოდნენ მუშები და ამაზე ჟანდარმერიამ ეჭვიც კი ვერ მიიტანა. მდიდრულ განსაცმელში გამოწყობილ, მშვენიერი გარეგნობის ქალს, ნიკოლოზ დეკანოზიშვილის მეუღლეს ბაქოს ქუჩებში ყველა მოკრძალებითა და პატივისცემით ხვდებოდა, მეფის მოხელეები თავმდაბლად აძლევდნენ სალამს, მუშები კი მის დანახვაზე სიყვარულით იღიმებოდნენ.

1905 წლის რევოლუციის ბობოქარ დღეებში ნინო ხერხეულიძე-დეკანოზიშვილი აქტიურად ჩაება ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლაში, გაეცნო და დაუმეგობრდა შეუდრეკელ ქართველ რევოლუციონერს ალიოშა ჯაფარიძეს, რომელიც სხვა პროფესიონალ-რევოლუციონერებთან ერთად ხელმძღვანელობდა ბაქოს პროლეტარიატის საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვას. ნინო ახლო იცნობდა ს. ორჯონიკიძეს, ა. მიქოიანს, ს. შაუმიანს. მისი სახლის კარი მუდამ ღია იყო რევოლუციონერებისათვის და ამასთან იმდენად საიმედოდ ითვლებოდა, რომ მზრუნველ დიასახლისს აბარებდნენ შესანახად პარტიული ორგანიზაციის ფულად სახსრებს. თვითონ ნინოც აგროვებდა თანხებს პარტიული ორგანიზაციის სასარგებლოდ. ნავთის მრეწველის, მილიონერ მუსანაგიევის მეუღლე ელისაბედი ეროვნებით ქართველი იყო. მას ნინო ბავშვობიდანვე იცნობდა და უყვარდა მის ოჯახში სიარული. „საყვარელი ლიზას“ დახმარებით ნინო დროდადრო შოულობდა ფულს.

იატაკქვეშელი რევოლუციონერი მუშები ნინოს სახლში პოულობდნენ თავშესაფარს. იქ ხშირად კრებებიც იმართებოდა. საყურადღებოა, რომ რამდენიმე კრებას სტალინიც დაესწრო. კრებების დროს ნინო გარეთ იდგა გუშაგად.

ბალახანაში ცხოვრობდა ქართველი ექიმი ალექსანდრე გიორგის ძე მაღალაშვილი, რომელიც თანაუგრძნობდა რევოლუციონერებს. იგი განსაკუთრებით მეგობრობდა სერგო ორჯონიკიძესთან. ერთ დილით, როცა სერგო მაღალაშვილის ბინიდან გავიდა, ჟანდარმებმა შეამჩნიეს, მაგრამ მისი დაკავება ვერ შეძლეს. ისინი შეიჭრნენ ალექსანდრესთან, სახლის პატრონი დააპატიმრეს. ნინომ ეს რომ გაიგო, ალ. მაღალაშვილის ცოლ-შვილი სასწრაფოდ თავისთან გადაიყვანა, თვითონ კი მაშინვე თბილისს გამოემგზავრა, ინახულა გუბერნატორი ჩერნიავსკი, რომელსაც კარგად იცნობდა და მოახერხა ალექსანდრეს გათავისუფლება.

მგზნებარე რევოლუციონერის ალიოშა ჯაფარიძის შესახებ ნინოს ბევრი აქვს მოსაგონარი.

„მტკიცე და უშიშარი იყო ალ. ჯაფარიძე, ამბობს ნინო, მისი აქტიური მონაწილეობით შეიქმნა ბაქოს ნავთობის მრეწველობის მუშათა კავშირი. ალიოშა შესანიშნავი ჟურნალისტი და ბოლშევიკური გაზეთის „ბაკინსკი რაბოჩის“ გამოცემის ორგანიზატორი იყო. მისი მეუღლე ვარო ჩემთან მეგობრობდა. მე მას დავეხმარე მასწავლებლად მოწყობაშიც. ვარო ყოველ მხრივ ხელს უწყობდა ქმარს მუშაობაში და უფრთხილდებოდა მის ჯანმრთელობას...“

ნინო ბევრ სასარგებლო საქმეს აკეთებდა ბაქოში. 1906 წელს მან დიდი წვალებით შესძლო ქარხნის ტერიტორიაზე წერა-კითხვის შემსწავლელი სკოლისა და საბავშვო ბაღის მოწყობა, სკოლაში მუშების შვილებს უფასოდ ასწავლიდნენ.

...1909 წლის ოქტომბერში ბაქოში ქართველი ბავშვებისათვის გაიხსნა პირველდაწყებითი სასწავლებელი, რომელიც პირველ ხანებში დაქირავებულ შენობაში იყო მოთავსებული. ნინომ სკოლის პირველ გამგეს მელიტონ რამიშვილს აღუთქვა ფულადი დახმარება და პირველსავე წელს მოზრდილი თანხაც გაიღო სკოლის სასარგებლოდ.

ნინო ავადმყოფ მუშებზეც ზრუნავდა, დადიოდა მათ სანახავად, უწევდა ფულად დახმარებას.

როგორც ცნობილია, 1917 წლის 2 (15) ნოემბერს ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ ხელში აიღო ძალაუფლება. არჩეულ იქნა აღმასრულებელი კომიტეტი ს. შაუმიანის მეთაურობით. კომიტეტში თვალსაჩინო ადგილი ეკავა ალ. ჯაფარიძეს.

თავზარი დასცა ნინოს 26 კომუნარის დახვრეტამ. 1918 წელს იგი თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად, მაგრამ ბაქოელ მეგობრებთან კავშირი არ გაუწყვეტია.

ნინო სიხარულით შეხვდა ჯერ აზერბაიჯანსა და სომხეთში, ხოლო შემდეგ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას. მთელი მონდომებითა და ხალისით ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში. თბილისში იგი მრავალი წლის განმავლობაში სხვადასხვა სკოლაში ასწავლიდა რუსულ ენას, ზრდიდა ახალ თაობას სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის გრძნობით.

ამჟამად ნინო პერსონალური პენსიონერია. ხშირად იგონებს მღელვარე წარსულს. სამშობლოსა და ხალხის წინაშე ვალმოხდილი ქალი.

შ. მარკოზაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



თ. მ. დოსტოევსკი
(დაბადების 150 წლისთავი)

# კუბაჩური საჭრისი



გულსაკიდი
(გრეხილი და ზარნიში)



სურა
(კაკლის ხე ინკრუსტირებული, მოსევად



მანაბა მაგომედოვა აღიზარდა დაღესტნელი ოქრომჭედლების ტრადიციებზე. მამა იყო განთქმული გრავიორი, ბიძა-რესტარვატორი. მისი პირველი მასწავლებელი აბდულ ჯალილ იბრაჰიმოვია, ცნობილი კუბაჩელი ოსტატი, რომელიც ფლობდა ოქროთი მოზარნიშების ტექნიკას. მან ასწავლა ათი წლის მანაბას ლანგარზე ორნამენტის ამოჭრა, მერე მისი ხელმძღვანელობით გააკეთა პირველი გრავირება და ადვილად აითვისა ორი კუბაჩური ორნამენტი — მარხარაი და ტუტა.

ქართველ და დაღესტნელ ოსტატებს შორის თავიდანვე მეგობრული ურთიერთობაა. დიდ მოწონებას იმსახურებდა კუბაჩელ ოსტატთა ნახელავი საქართველოში; როცა ჩვენში დადგა საკითხი ხალხურ ნაკეთობათა წარმოების განვითარებისა, თბილისში შეიქმნა არტელი „საქმრეწვმხატვარი". აქ მოიწვიეს ცნობილი კუბაჩელი და ქართველი ოსტატები. მალე აქ მოვიდა ახალგაზრდა ქალიშვილი მანაბა მაგომედოვა და გამოცდილი ოსტატების გვერდით გაიზარდა და დაოსტატდა. ქართველი ოქრომჭედლების ხელმძღვანელობით მან შეისწავლა ფილიგრანის შესრულება, რაც ხშირად გვხვდება ქართულ ოქრო-ვერცხლით ნაკეთობებში, ხოლო ლადო გუდიაშვილის რჩევით თავის კომპოზიციებში დიდი ადგილი დაუთმო სრულიად ახალ თემას — შვლებისა და ჯიხვების ლითონზე ამოკვეთას.

პირველი სამაჯური, პირველი გამარჯვება...

1957 წელი... მანაბა მაგომედოვა მოსკოვის, ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალის ლაურეატია, სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ოქროსმედალოსანი, ამერიკის შეერთებულ შტატებში, საერთაშორისო გამოფენაზე ექსპონირებულია მისი ნამუშევრები.

მოსკოვში, ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე მანაბა მაგომედოვამ წარადგინა ვერცხლის ჩონგური, მთლიანად მოჩუქურთმებული სურა და სამაჯური, ამავე დროს, მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო გამოფენაზე ქალაქ ოსაკაში (იაპონია).

თბილისის დაარსების 1.500 წლისთავს დაღესტნელმა ოსტატმა სპილოს ძვლის მედალიონებით მორთული ლარნაკი მიუძღვნა, რომელზეც გამოსახულია თბილისის დაარსების ლეგენდები.

ბრიუსელის საერთაშორისო გამოფენაზე საქართველოდან ექსპონირებული იყო მაგომედოვას ვერცხლში ჩასმული ჯიხვის რქა. ღრმა გრავირებით. რქაზე გამოსახულია საპქოთა საქართველოს ღერბი, რომლის ორნამენტი აგებულია ცნობილი ქართველი ოსტატის ბექა ოპიზარის მოტივების მიხედვით.

1961-1966 წლებში მოეწყო მანაბა მაგომედოვას გამოფენები თბილისში, მოსკოვში, მახაჩკალაში, ლიტვაში. მოსკოვში, სახალხო მეურნეობის მიღწევათა საკავშირო გამოფენებზე მას ვერცხლის და ოქროს მედლები მიანიჭეს.

ჩეხოსლოვაკიაში ჭედურობის ოსტატთა პირველ საერთაშორისო სიმპოზიუმზე, 17 ქვეყნის წარმომადგენელს შორის, საქართველოდან ესწრებოდა მანაბა მაგომედოვა, მან იქ პერსონალური გამოფენა მოაწყო.

წინ შემოქმედის ფართო გზაა...

ეს ჩანს საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის და დაღესტნის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის მანაბა მაგომედოვას ლეკური და ქართული ორნამენტებიდან.

ირმა ჩოფიკაშვილი



ქალის სატუალეტ
(სევადა, ღრმა გრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ებით)





„მერანის“ გარეკანი
(ტიხრულ მინანქარში ბუნების სივრცე მარცვლით)

სინი
(სევადა ღრმა გრავირებ...





საქორწილო სამკაული (ვერცხლი)

დეკორატიული ლარნაკი
(ღრმა გრავირება ამოკვეთილობით და სევადით)





...ტო მოწყობილობა
(...რავირება, გუშით მოხატულობა და რქა)

ქალის სამკაული
(ვავარსა, მინანქარი, მარცვალი)



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსახიობი და როლი



რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა მიმდინარე სეზონში განახორციელა ჟ. ანუის პიესის „მედეას" დადგმა. სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო. განსაკუთრებული მოწონება ხვდა მთავარი როლის შემსრულებელს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს ზინაიდა კვერენჩხილაძეს.

სურათზე: მედეა — ზ. კვერენჩხილაძე.

ფოტო დ. იაკობაშვილისა.

# ყვავის ბუდე

**ჩემი დღიურიდან**

1960 წლის 30 აპრილს მდინარე ჭოროხის შესართავში იქთიოლოგიური გამოკვლევების დროს წავაწყდით ყვავის ბუდეს. ის ჩადგმული იყო მდინარის პირას ეკლიანი ქაცვის ხეზე, შიგ ხის ნაძერძალები, ხავსი და ბეწვი ჰქონდა ამოგებული. ბუდეში ელაგა ხუთი კვერცხი, ცისფრად და ყავისფრად დაწინწკლული.

ბუდეს მივუახლოვდით თუ არა, ყვავები თავს დაგვესხნენ, ასტეხეს გამაყრუებელი ჩხავილი, საკორტნელად იწევდნენ ჩვენზე.

ერთმა ჩვენგანმა დააპირა კვერცხების ამოღება და არ დავანებე — მერე რა, რომ ყვავები არიან, ხედავ, თავისი ბუდის დასაცავად რა დღეში ჩაცვივდნენ-მეთქი. ისიც ამ სიტყვებზე ჯერ ჩაფიქრდა და მერე თქვა.

— მართლაც. საკვირველია ამ ყვავების მოქმედება, ზოგიერთ კაცსა თუ ქალს არ გააჩნია ამდენი მშობლიური გრძნობა, მიატოვებენ თავის ბუდეს და აღარ კითხულობენ, თუ რა ემართება მათ წვრილშვილს.

ამ საუბარში, იმ ეკლიან ხეს გავშორდით თუ არა, ყვავები იმ წამშივე გვერდზე შემოუსხდნენ თავის ფაცხა-ბუდეს და დამშვიდდნენ.

როსტომ ელანიძე

# ფარშევანგი და არწივი

ერთხელ ერთმანეთს შეხვდნენ ფარშევანგი და არწივი.

არწივმა უთხრა: დიდი ხანია არ მინახიხარ, საოცრება კია, როგორ შეგინარჩუნებია სილამაზე. მე კი როგორ გავხდი, დავვუშნოვდი და დავბერდი!

— ვხედავ, მაგრამ საინტერესო ისიცაა რატომ ხდება ასე. როგორ იკვებები, როგორ ცხოვრობ?

— მტაცებელს მეძახიან, და მართლაც ხანდახან ერთ ბატკანს გავიტაცებ და ისე შევჭამ მთლიანად, გვერდზეც არ გავიხედავ. ზოგჯერაც, როცა ვერ ვიშოვნი რაიმეს, რამდენიმე დღე მშიერი ვარ.

— ოჰ, ეგ რა მითხარი, რა გაუმაძღარი ყოფილხარ, რა გაჭმევს ერთ ჭამაზე ერთ ბატკანს? ზომიერების დაცვა არ გცოდნია, როცა გადაჭარბებულად გაძღები, ალბათ, არც გეძინება; როცა მშიერი ხარ — არც მაშინ დაგეძინება და, ცხადია, ასეთი ცხოვრება მალე დაგაბერებდა და დაგაუშნოვებდა. მე მტაცებელი არ ვარ, ჩემი შრომით ვცხოვრობ, რასაც ვშოულობ, ყოველდღიურად ზომიერად ვინაწილებ და ისე ვჭამ. ასეთი ცხოვრებით სილამაზეც შემრჩა, ჯანმრთელობაც და ახალგაზრდობაც.

არწივი მიხვდა თავისი უხეირო ცხოვრების შედეგს, მაგრამ რაღას იზამდა, სილამაზეს, ახალგაზრდობასა და ჯანმრთელობას ხომ ველარ დაიბრუნებდა.

ვლადიმერ გოგიბერიძე



# ლამაზი სიცოცხლე

სოფელ ერკეთის კომკავშირის სათემო უჯრედის მორიგ კრებაზე კომკავშირში ახალ წევრთა მიღების საკითხი იდგა. ორგანიზაციის მდივანი მ. კალანდაძე შთააგონებდა ყველას, პირველ რიგში კომკავშირში მიეღოთ ის ახალგაზრდები, რომელთა მამებმაც საკუთარი სისხლის ფასად დაამკვიდრეს თავისუფლება. კომკავშირის ორგანიზაციის რიგებში მუშებისა და გლეხების შვილებთან ერთად მიიღეს ბათუმის ნავსადგურის მუშის ქალიშვილი, იანოულელი ჯულიეტა თოდრია.

ჯულიეტა თოდრია ბავშვობიდანვე ოცნებობდა სწავლასა და შრომაზე. მის სულში აღბეჭდილი იყო მისი ბიძის, ცნობილი რევოლუციონერის — სილოვან თოდრიას საუბრები. წიგნები, ჟურნალები, გაზეთები, დისკუსიები, ლიტერატურული საღამოები — აი რა იყო მისი სულიერი საზრდო.

ჯულიეტა თოდრიამ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ, გაბედულად შეაღო ჭიათურის სამთო-სამრეწველო სასწავლებლის კარი. მალე თეორიულ ცოდნას წარმატებით შეუთავსა პრაქტიკული საქმიანობა — მარქსის სახელობის მადნის გამამდიდრებელ ფაბრიკაში ჩინებულად დაეუფლა მარგანეცის რეცხვის ტექნოლოგიას. მუშა ქალიშვილი კომკავშირის რაიკომის პლენუმის წევრად აირჩიეს, შემდეგ რაიკომის სააღრიცხვო განყოფილების გამგედ გადაიყვანეს, მერე დააწინაურეს პიონერთა განყოფილების გამგედ, პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ. ზრდიდა ახალგაზრდობას და თვითონაც იფართოებდა ცოდნის ჰორიზონტს.

1940 წელს ჭიათურაში დაარსდა რაიონული გაზეთი „კომუნისტური სიტყვა". პარტიის რაიონული კომიტეტის რეკომენდაციით რედაქციის პასუხისმგებელი მდივნის თანამდებობაზე შერჩეულ იქნა ახალგაზრდა კომუნისტი ჯულიეტა თოდრია, რომელმაც დიდი სამამულო ომის პირველ დღეებში, გაზეთის რედაქტორის მ. მოდებაძის ფრონტზე წასვლის შემდეგ, მისი ადგილი დაიკავა.

ახალგაზრდა ჟურნალისტის ფიქრები ღრმად იჭრებოდა ცხოვრების ყველა კუნჭულში. რედაქტორი გაზეთის მუშაკებს, კორესპონდენტებს, მკითხველებს აღანთებდა ბრძოლისა და შრომისათვის. მისი ინიციატივით შეგროვდა დიდი თანხა სატანკო კოლონის „პრესის მუშაკის" ასაგებად, და აი, მოსკოვიდან მოვიდა დეპეშა:

„საქართველოს სსრ, ჭიათურის რაიონი, გაზეთ „კომუნისტური სიტყვის" რედაქტორს ამხ. ჯულიეტა თოდრიას. გთხოვთ გადასცეთ ჩემი ძმური სალამი და წითელი არმიის მადლობა ჭიათურის რაიონის პრესის მუშაკებს, კორესპონდენტებს, მკითხველებს, რომლებმაც 90.539 მანეთი შეაგროვეს სატანკო კოლონის „პრესის მუშაკის" ასაგებად. ი. სტალინი. 1944 წ. 16 სექტემბერი".

ი. სტალინის დეპეშის მიღებიდან ერთი თვის შემდეგ ჯულიეტა თოდრიას მისამართით კვლავ მოვიდა სასიხარულო ცნობა: — „საქართველოს სსრ, ჭიათურის რაიონული გაზეთის რედაქტორს ჯულიეტა თოდრიას. გაცნობებთ, თქვენს მიერ შეგროვილი თანხით აიგო ტანკი „პრესის მუშაკი" და გადაეცა გენერალ რიბენკოს ნაწილებს. გთხოვთ ამის შესახებ აცნობოთ ყველა მათ, ვინც მიიღო მონაწილეობა სატანკო კოლონა „პრესის მუშაკის" აგებაში". დეპეშას ხელს აწერდა სსრ კავშირის ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარების საბრძოლო მომზადების ფორმირების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორი ლიპადევი.

სწავლისა და შრომის საინტერესო გზა აქვს გავლილი ჯულიეტა თოდრიას. მან დაამთავრა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რესპუბლიკური პარტიული სკოლა, პედაგოგიური ინსტიტუტი. იგი დაჯილდოებულია ოთხი მედლითა და სხვადასხვა სიგელებით, დაუღალავად ეწევა საზოგადოებრივ საქმიანობას, არის ჭიათურის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე. დღეს ჯულიეტა თოდრია ჭიათურის სტამბის დირექტორად მუშაობს.

რაიონის ათასობით მკითხველი სიყვარულით და ინტერესით კითხულობს გაზეთს, რომლის ყოველ სტრიქონს ამ ამაგდარი ქალის მადლიანი შრომის სითბო ახლავს.

აზო ფერაძე,
ჩიტო მაისურაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ეკატერინე გაბაშვილი

(დაბადების 120 წლისთავის გამო)

ქართველ გამოჩენილ ბელეტრისტ ქალს ეკატერინე გაბაშვილს დიდად აფასებდა ილია ჭავჭავაძე.

— ოლღა, — უთქვამს მას მეუღლისათვის, — როცა გაზეთში ან ჟურნალში ეკ. გაბაშვილის მოთხრობა ან წერილი შეგხვდეს, გადამიშალე, ჩემს მაგიდაზე დადე, ყურადღებიდან არ გამომეპაროსო.

ეკ. გაბაშვილი იყო ერთი იმ ბედნიერთაგანი, რომელსაც თავიდანვე წილად ხვდა გაზეთ „ივერიისა" და დიდი ილიას მხარის დაჭერა და ეს ნამდვილად არ იყო პატარა საქმე გამოუცდელი, ახალბედა მწერალი ქალისათვის.

ეკ. გაბაშვილმა თავისი მოღვაწეობა საზოგადოებრივ ასპარეზზე ქალის უფლებების დაცვით დაიწყო.

ეს დიდი შემართების ქალი და ფართო დიაპაზონის მწერალი, მამაკაცებთან ერთად თანაბარ მონაწილეობას იღებდა საქვეყნო საქმიანობაში. არ ყოფილა რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომ იგი არ გამოხმაურებოდა თავისი კალმითა და საქმიანი სიტყვით. შემთხვევითი არ იყო ისიც, რომ მას ქართველ ჟორჟ სანდს ეძახდნენ. როცა ი. ჭავჭავაძისა და ი. გოგებაშვილის თაოსნობით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება დაარსდა, ე. გაბაშვილი პირველივე გამგეობის წევრად აირჩიეს.

ეკ. გაბაშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დამდგენი კომისიის საინტერესო მუშაობაში.

ცნობილია, თუ როგორი ენთუზიაზმით შეხვდა ი. ჭავჭავაძე ეკ. გაბაშვილის წინადადებას ქ. თბილისში ჭრა-კერვის სკოლის დაარსების შესახებ. როცა აქ მოსწავლეთათვის ეკატერინემ აკაკი წერეთლის „მეჩონგურე" დადგა, მხცოვანი მგოსანი თურმე ხელზე ემთხვია ეკატერინეს და ასე უთხრა: მე ვხედავ აქ დიდი ეროვნული საქმე კეთდებაო.

დიდი იყო ეკ. გაბაშვილის მხატვრული სიტყვის ძალა. ნიჭიერი ბელეტრისტი შესანიშნავად გრძნობდა თანამედროვეობას. ეკატერინე წერდა იმაზე, რასაც ირგვლივ ხედავდა, რაც მის საყვარელ ხალხს აწუხებდა და რის განკურნებასაც თავისი კალმის ზემოქმედებით ფიქრობდა.

დღეს ბევრმა არ იცის, თუ რა ზეგავლენა მოახდინა თავის დროზე ეკატერინეს შესანიშნავმა მოთხრობამ „მშიერაძეების ოჯახმა", რომელშიც აღწერილია ღარიბი ხალხის უნუგეშო ყოფა: როცა მახათას მთაზე მთავრობის უნებართვოდ დასახლდა ლტოლვილი გლეხობა, თბილისის გუბერნატორმა მათი აყრა დააპირა. დასარბევად წამოსული რაზმი ვიღაცამ ჟურნალ „ჯეჯილში" დაბეჭდილი ეკ. გაბაშვილის მოთხრობის „მშიერაძეების ოჯახის" კითხვით შეაჩერა.

„ნუთუ, ბატონებო, თქვენ ვინმეს ძალა შეგწევთ, ბოგანო ხალხს, რომელნიც ნაძალადევად მოქალაქეთ იქცნენ და შვილებს გაზეთის კითხვის უნარი მისცეს, ხელი შეახოთ და გაჩაღებული კერა ჩაუქროთ?"

ამბობენ, სულგანაბული და გულაჩუყებული რაზმი ისე დაიშალა, გლეხებისათვის ხელი აღარ უხლიათო.

მშრომელი გლეხებისადმი სიყვარული ეკატერინეს კიდევ უფრო გაუღვიძა პანსიონში სწავლამ, როცა იგი თავისი მასწავლებლების პროგრესული იდეების გავლენაში მოექცა.

„სწავლა დიდი სამკაულია კაცისთვისო", — წერდა ეკატერინე თავის ესკიზში — „გლეხი კაცის აზრი სასოფლო სკოლაზე", რომელიც 1870 წლის 1 იანვარს გაზეთ „დროებაში" დაიბეჭდა.

ვინ იცის, რას არ აკეთებდა ეკატერინე გლეხკაცობის გათვითცნობიერებისათვის, სოფლის კულტურული დონის ამაღლებისათვის; იგი წერდა პიესებს. ამ პიესებს დგამდა ახალქალაქში, გორში, სუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამში. ხშირად მთავარი როლის შესრულებაც თვითონვე უხდებოდა, არა იმიტომ, რომ ეს მისი სტიქია და მოწოდება იყო, არამედ იმისთვის, რომ თავისი მაგალითით გზა გაეხსნა ქალების მოღვაწეობისათვის.

დაუვიწყარია გაბაშვილის დამსახურება ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარების საქმეში. მწერალი ენერგიულად იბრძოდა საბავშვო ლიტერატურისა და მოზარდთა პრესის შექმნისათვის. მისი სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული პირველ საბავშვო ჟურნალ „ნობათის" დაარსებასთან, შემდეგ კი „ჯეჯილის" ისტორიასთან. ეკატერინე თითქმის ოცდაათი წლის მანძილზე იყო ამ ჟურნალის მუდმივი თანამშრომელი და სარედაქციო კოლეგიის წევრი. საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული" კი თვით ეკატერინემ მონათლა.

ეკ. გაბაშვილს შემოქმედებითი მოღვაწეობა მოუხდა ორი უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული მოვლენის — თერგდალეულთა და ხალხოსანთა მოღვაწეობის დროს. ეს გარემოება განსაკუთრებით ეტყობა მის შესანიშნავ მოთხრობებს: „მეურმის ფიქრები", „ორენა და ქუჩე", „მაგდანას ლურჯა", „ღვინია გადაიჩეხა", „დათიკოს მონოლოგი", „თინას ლეკური", „თამარის ნუგეში", „გამარჯვებული ნიკო" და სხვა.

თითოეული მოთხრობა ცოცხალი სურათია წარსული საუკუნისა, გლეხკაცის გაუხარელი, გამწარებული ცხოვრებისა. საოცარი ექო ჰქონდა მის მოთხრობას „კონა", სადაც ეკატერინემ გვიჩვენა მოჯამაგირის საშინელი, აუტანელი ცხოვრების პირობები.

მწერალ ქალს აინტერესებს რეფორმის შემდგომი სოფელი, რადგან ბატონყმობის გაუქმებამ ფაქტიურად არაფერი მოუტანა გლეხობას, პირიქით, კიდევ უფრო გაამწვავა მდგომარეობა. მწერალმა ამ თემას უძღვნა თავისი მშვენიერი ესკიზი „სურათი".

ეკ. გაბაშვილი კარგად ხედავდა კაპიტალიზმის სწრაფი ტემპით განვითარებას, ხედავდა ფეოდალური კლასის რღვევას. მას არ ერიდება თავისი კლასის სამარცხვინო ბოძზე გაკვრა, გვიჩვენებს ამ კლასის არარაობას და ამორალიზმს.

გაბაშვილმა შექმნა დიდებული ეპოპეა დაჩაგრული გლეხკაცის გაუხარელი ცხოვრებისა და თუმცა ვერ უჩვენა მათ გზა მომავალი ბრძოლისა, მისი ნაწარმოებები ღაღადებდნენ ჭეშმარიტებას, სამშობლოს სიყვარულს, ადამიანის პატივისცემას.

დიდ ჰუმანისტს, ხალხის საყვარელ მწერალს, არაფერზე დაწყვეტია გული. 70 წლის მწერალი შეესწრო მშრომელი ხალხის გამარჯვებას, დროს, როცა ხალხს განათლებისა და შემოქმედებითი ცხოვრების ფართო სარბიელი გადაეშალა.

ჩემი თაობიდან ყველაზე ბედნიერი ვარ, — აცხადებდა იგი, — რადგან მე მოხუცებულობის ჟამს მაინც მოვესწარი ჩემი ხალხის ასეთ მშვენიერ და თავისუფალ ცხოვრებას, რომელზედაც ოცნებაც კი არ შემეძლო ახალგაზრდობაშიო.

ეკ. გაბაშვილი გარდაიცვალა 1938 წ. 7 აგვისტოს, 87 წლის ასაკში, თავის საყვარელ სოფელ ახალქალაქში, რომელთანაც დაკავშირებული იყო მთელი გულით და ფიქრებით.

ქართველმა ხალხმა თავისი მოამაგე მწერალი თბილისში გადმოასვენა და დიდი პატივით მიაბარა ქართველ მოღვაწეთა დიდუბის პანთეონს.

ნინო ჩიხლაძე,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა
კანდიდატი.

# „ჟურნალ „საქართველოს ქალის" მანდილის" მოსაპოვებლად

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის შესახვედრად, 1968 წელს ჩვენმა რედაქციამ ქალთა რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად გამოაცხადა კონკურსი, რომლის პირობები გამოქვეყნდა ჩვენი ჟურნალის 1969 წლის № 8-ში.

და აი, ჩვენს ხელთაა საქართველოს სხვადასხვა კუთხის 86 ქალთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი, ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების მიერ დადასტურებული და ჩვენს მიერ შემოწმებული რამდენიმე ქალთა საბჭოს მუშაობის მასალები.

ვფურცლავთ წარმოდგენილ ანგარიშებს და გვიხარია, რადგან თვალნათლივ ვხედავთ ჩვენი ქალების, ქალი — მშრომელის, მოღვაწის, დედისა და დიასახლისის ზრუნვას ამხანაგთა კოლექტივის, მისი თითოეული წევრის კეთილდღეობისათვის. ხოლო ზოგიერთის საზრუნავი საკუთარ კოლექტივს, სოფელს. ქალაქს და ზოგჯერ რესპუბლიკის ფარგლებსაც კი სცილდება... ასეთია, მაგალითად, მშვიდობის ფონდის გაძლიერებისათვის ზრუნვა, მებრძოლი ვიეტნამის, ანგოლის, არაბეთის ქვეყნების ქალთა და ბავშვთათვის გაწეული დიდი მატერიალური და მორალური დახმარება — რაც ფართოდ აისახა ჩვენი ჟურნალის ფურცლებზეც.

აი, კიდევ კეთილშობილური საქმიანობის ერთ-ერთი მაგალითი: ფოთის ქალთა საქალაქო საბჭოს წევრები ჩავიდნენ მიწისძვრისგან დაზარალებული დაღესტნის სოფლებში და დიდი მორალური და მატერიალური დახმარება გაუწიეს ქალებსა და ბავშვებს.

არ შეიძლება კიდევ ერთხელ არ აღინიშნოს ის დიდი მუშაობა, რაც ჩაატარეს ქალთა საბჭოებმა ომში დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად. ბევრგან მათი თაოსნობით დაიდგა, მოეწყო და გაშენდა ობელისკები, სტენდები, პარკები, რისთვისაც ბევრ საბჭოს სათანადო ჯილდოებიც მიენიჭა.

ამჯერად ჩვენ კონკურსის პირობების მიხედვით ჩატარებულ მუშაობას შევეხებით.

ახალ სიცოცხლეს უმღერის ზუგდიდის საქალაქო საბჭოს ინიციატივით გაშენებული ახალშობილთა პარკი. ახლადშემატებული მოქალაქეების ზრდასთან ერთად იზრდება მათი მშობლების ხელით დარგული და მოვლილი პატარების სახელობის ხეები — ცოცხალი სურათი ქალაქის მოსახლეობის ზრდისა, მისი მატიანე. ასეთივე პარკები გაშენდა აჭარის საოლქო და ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის ქალთა საბჭოების თაოსნობით.

ქალთა საბჭოები აწარმოებენ ჩვილბავშვიანი ოჯახების აღრიცხვა-შესწავლას (თბილისის ლენინის რაიონის, კერძოდ, მე-7 სამკერვალო ფაბრიკის ქალთა საბჭო და გეგეჭკორის, რაიონული ქალთა საბჭო), სწავლობენ 1 წლამდე ბავშვთა სამედიცინო მომსახურების საკითხს სიღნაღის რაიონული და რუსთავის საქალაქო საბჭოები).

ქალთა საბჭოები ზრუნავენ ახლადდაქორწინებულთა, მრავალშვილიანთა, მარტოხელა დედების, ომში დაღუპულთა ოჯახების, პენსიონერებისა და ინვალიდების ბინით უზრუნველყოფისა თუ სახლების მშენებლობისა ან შეკეთებისათვის, საკარმიდამო ნაკვეთების დამუშავების, სამშენებლო მასალის თუ სესხის მიღებისა და სხვადასხვა საჭიროებისათვის. მარტო ქალაქ ზუგდიდის ქალთა საბჭოს ინიციატივით მიიღო ბინა ოცდაერთმა ახლადდაქორწინებულმა და მრავალშვილიანმა ოჯახმა, მარტოხელა დედამ და ინვალიდ-პენსიონერმა. ბინა მიიღეს სამტრედიაში 12 ოჯახმა, ონში — სამკერვალო ფაბრიკის სამმა მუშამ, ფოთში — ოთხმა ოჯახმა. ამგვარი ღონისძიებები აქვთ ჩატარებული მახარაძის, ვანის, ზუგდიდის, წალენჯიხის, გალის, ყაზბეგის, ზნაურის რაიონულსა და თბილისის, ქუთაისისა და თელავის საქალაქო, აჭარის საოლქო ქალთა საბჭოებს.

საბჭოები აწყობენ შეხვედრებს მრავალშვილიან დედებთან, იკვლევენ მათ მდგომარეობას (ზუგდიდის და ფოთის საქალაქო, ქობულეთის, გეგეჭკორის, ლაგოდეხის რაიონული საბჭოები). ბორჯომის ქალთა საბჭომ დააზუსტა რაიონის გმირი და მრავალშვილიანი დედების სია და ამოწმებს მათთვის პენსიების გაცემისა და ერთდროული დახმარების საკითხებს.

საბჭოების თაოსნობით ეწყობა გმირი დედების სტენდები (ცაგერი, სიღნაღი).

საბჭოები ზრუნავენ ფეხმძიმე ქალების

შედარებით მსუბუქ სამუშაოზე გადაყვანისათვის (მახარაძის ძაფსალები ფაბრიკის, თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების და მაუდ-კამვოლის კომბინატისა).

ქალთა საბჭოების ინიციატივით ფართოდ გაიშალა დედათა უნივერსიტეტების მუშაობა, ტარდება თემატური საღამოები და ლექციები ყოფის კულტურისა თუ შრომის კანონმდებლობის საკითხებზე, აბორტის მავნეობის, ფეხმძიმე ქალის ჰიგიენის, ბავშვთა მოვლა-აღზრდისა და საოჯახო საქმიანობის საკითხებზე, ეწყობა ქალთა ხელსაქმისა და კულინარული ნაწარმის გამოფენები.

საბჭოები აყენებენ საკითხებსა და აწესებენ კონტროლს ბაგა-ბაღების მშენებლობასა თუ სკოლებში გახანგრძლივებული ჯგუფების გახსნაზე, აკონტროლებენ ბაგა-ბაღებსა და სკოლებში ჰიგიენურ-სანიტარულ პირობებს, კვების ხარისხსა და კალორიანობას, სათამაშოებითა თუ სასწავლო ნივთებითა და ფორმით მომარაგების საქმეს (თბილისის, ზუგდიდის, ფოთის, ქუთაისის, რუსთავის საქალაქო, აჭარის საოლქო და ცაგერის, ზესტაფონის, გალის, ყაზბეგის, ზნაურის, ბორჯომის, ლაგოდეხის, სიღნაღის, წალენჯიხის ქალთა რაიონული საბჭოები). მაგალითად, ზუგდიდის საქალაქო საბჭომ შეამოწმა საზაფხულოდ დასასვენებლად გაყვანილი 18 ბაგა-ბაღის სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, ბავშვთა მოვლისა და კვების მდგომარეობა.

საინტერესო და მრავალმხრივია ქალების მოღვაწეობა მომუშავე დედების დასახმარებლად. საბჭოები შეისწავლიან მოსწავლეთა საცხოვრებელ პირობებს, ზრუნავენ მათი აკადემიური წარმატებისათვის, განთესილ ბავშვთა სკოლებში დაბრუნებისათვის, მცირეწლოვანთა დანაშაულობების აღმოსაფხვრელად და სხვა. ამ მიზნით ეწყობა მომუშავე მშობლებისა და მათი შვილების შეკრებები იმ საწარმო-დაწესებულებებსა თუ მეურნეობებში, სადაც მშობლები მუშაობენ. ქალთა საბჭოების წევრები ესაუბრებიან მშობლებს მათი შვილების წარჩინებისა და ქცევის შესახებ, აწყობენ მათი წარმატებისა თუ წარუმატებლობის მაჩვენებელ სტენდებს. ასევე ეწყობა ე. წ. „მშობელთა ღირსების" სტენდები. ხდება საუკეთესო მოსწავლეებისა და მშობლების დაჯილდოება.

ეწყობა რეიდები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და მორიგეობა მილიციის ოთახებში. წარმოებს წესრიგის დამრღვევთა აღრიცხვა და ტარდება მათთან აღმზრდელობითი მუშაობა (თბილისის 26 კომისრისა და კალინინის რაიონული, ზუგდიდის, ფოთის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის საქალაქო, აჭარის საოლქო, გურჯაანის, გალის, სიღნაღის, ცაგერის, მახარაძის რაიონული, ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის ქალთა საბჭოები).

სოხუმის ქალთა საბჭომ აღმასკომის სათანადო კომისიასთან ერთად განიხილა მცირეწლოვანთა 60 საქმე; ნაწილს სამუშაოზე მოწყობაში დაეხმარა, ნაწილს — სკოლებში. თელავის ქალთა საბჭოს დახმარებით სამუშაოზე მოეწყო 25 ახალგაზრდა, იმავე საბჭომ მოაწყო თელავიდან წასული სტუდენტებისა და მათი მშობლების შეკრება და ჩაატარა საუბარი სტუდენტების სწავლისა და ყოფაქცევის შესახებ.

ქალთა საბჭოები ზრუნავენ უდედმამო ბავშვებზე, აწყობენ ინტერნატებში, აწესებენ პატრონაჟს, ზრუნავენ მათი მატერიალური დახმარებისათვის, საგზურებისათვის და სხვა (თბილისის, ზუგდიდის, ფოთის საქალაქო და ახმეტის, გარდაბნის, ვანის რაიონული ქალთა საბჭოები).

ქალთა საბჭოები ამოწმებენ, ხელს უწყობენ თუ არა საწარმოებისა და მეურნეობების ხელმძღვანელები კოლმეურნე და მუშა ქალებს, უზრუნველყოფილი არიან თუ არა ისინი ტრანსპორტით, სამედიცინო მომსახურებით, კეთილმოწყობილი აქვთ თუ არა სამუშაო ადგილები, და ზრუნავენ მუშა-მოსამსახურე და კოლმეურნე ქალთა დაჯილდოებისათვის, მათი საკურორტო მომსახურებისათვის (ადიგენის, გურჯაანის, ვანის, მახარაძის, ხელვაჩაურის, ლაგოდეხის, გეგეჭკორის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ზესტაფონის, კასპის, ახმეტის, თელავის, ყაზბეგის, სიღნაღის, გარდაბნის, ბორჯომის, ზნაურის, ქობულეთის რაიონული, ზუგდიდის, ფოთის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის, სოხუმის საქალაქო, თბილისის 26 კომისრის და ლენინის რაიონული, ქ. თბილისის მე-7 სამკერვალო ფაბრიკისა და აჭარის საოლქო საბჭოები).

წარმოებს ომისა და შრომის ვეტერანების, პენსიონერების, ძველი რევოლუციონერების ცხოვრების პირობების შესწავლა და ზრუნვა მათი საბინაო პირობების გაუმჯობესებაზე და ბინების შეკეთებაზე, პენსიების დანიშვნაზე, სხვადასხვა სახის დაჯილდოება-დახმარებაზე. ეწყობა მათთან შეხვედრები, პენსიაში გასულთა საზეიმო გაცილება და სხვა (თბილისის ორჯონიკიძის, 26 კომისრის, კალინინის და ლენინის რაონული, ქუთაისის, ზუგდიდის, თელავის, ფოთის საქალაქო, აჭარის საოლქო, ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის, წალენჯიხის, ბორჯომის, მახარაძის, გეგეჭკორის, გარდაბნის, ვანის ქალთა რაიონული საბჭოები).

საბჭოები ზრუნავენ ქალების შრომაში ჩაბმისათვის, მუშა ქალთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, მათი პროფტექნიკური სწავლებისათვის (ონის № 10 სამკერვალო ფაბრიკის, თბილისის, ზუგდიდის, ქუთაისის საქალაქო, აჭარის საოლქო და ყაზბეგის, გარდაბნის, თელავის, გეგეჭკორის, მახარაძის, ხულოს, კასპის რაიონული საბჭოები).

საბჭოები პროპაგანდას უწევენ მოწინავე ქალთა გამოცდილებას (ონის № 10 სამკერვალო ფაბრიკა, სამტრედიის რაიონი), აჯილდოებენ მაღალი შრომითი მაჩვენებლებისათვის (ზუგდიდის საქალაქო, ხელვაჩაურის რაიონული). მაგალითად, ფოთის ქალთა საქალაქო საბჭომ ჩაატარა კონკურსი „ქალი — საუკეთესო თავის პროფესიაში".

საბჭოები აწყობენ შეხვედრებს რესპუბლიკის გამოჩენილ ადამიანებთან, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებთან, ატარებენ გართობის საღამოებს, კოლექტიურ სვლებს კინო-თეატრებში, ექსკურსიებს ღირსშესანიშნავი ადგილების დასათვალიერებლად, როგორც რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ (თბილისის 26 კომისრის და კალინინის, ლაგოდეხის თელავის რაიონული, ზუგდიდის საქალაქო, აჭარის საოლქო საბჭოები).

ეწყობა „ხალხთა მეგობრობის" შეკრებები (ადიგენი, ქ. სოხუმი და სხვა).

ცაგერისა და ბორჯომის ქალთა საბჭოებმა შეადგინეს რაიონის შესანიშნავ ქალთა ალბომები. ზუგდიდი ადგენს ქალთა შორის მუშაობის მატიანეს.

საყურადღებოა ქალთა საბჭოების ბრძოლა მახინჯი ადათ-წესების წინააღმდეგ (ყაზბეგის, ახმეტის, თელავის რაიონული საბჭოები).

საბჭოებმა შექმნეს მოძრავი ბიბლიოთეკები და ადგილებზე მომსახურებას უწევენ მოხუცებს, ავადმყოფებს, პენსიონერ-ინვალიდებს (თბილისის კალინინის რაიონის, ზუგდიდის და ფოთის საქალაქო საბჭოები).

იღწვიან საყოფაცხოვრებო ობიექტების დაარსებისა და არსებულის მუშაობის გაუმჯობესებისათვის (ყაზბეგის, ზუგდიდის, თელავის, სიღნაღის, ზნაურის, ცაგერის რაიონები);

ზრუნავენ საოჯახო და სხვადასხვა კონფლიქტების მოგვარებისათვის, ოჯახების განმტკიცებისათვის (გარდაბნის, მახარაძის, ახმეტის, გალის, კასპის, წალენჯიხის რაიონული, ონის № 10 სამკერვალო ფაბრიკის, თბილისის, ქუთაისის, ზუგდიდის, ფოთის საქალაქო, აჭარის საოლქო საბჭოები);

ზრუნავენ სამუშაო და საცხოვრებელი ადგილების სისუფთავისა და გამწვანება-გალამაზებისათვის, ეზოებში სპორტული მოედნების მოწყობისათვის (ვანისა და ცაგერის რაიონული, თბილისის, ზუგდიდის, ფოთის, რუსთავის საქალაქო და აჭარის საოლქო საბჭოები);

აარსებენ თვითმოქმედების, საოჯახო საქმიანობის შემსწავლელ წრეებს: ჭრა-კერვის, კულინარიის, ავადმყოფის მოვლისა და სხვა (თელავის რაიონული, აჭარის საოლქო, სოხუმის და ზუგდიდის საქალაქო საბჭოები).

ამგვარად, საბჭო არც მადირექტივებელი ორგანოა, არც დამფინანსებელი, მაგრამ აქ მოყვანილი მაგალითებიდანაც ჩანს, თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლიათ საზოგადოებისათვის უანგარო, კეთილშობილი, პატრიოტული გრძნობით გამსჭვალულ ადამიანებს.

როგორც ვიუწყებოდით, კონკურსი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის აღსანიშნავად გამოცხადდა. ამჟამად ჟიურიმ შეაჯამა ქალთა საბჭოების სულ ორი-სამი წლის მუშაობა, მაგრამ ისიც. რაც გაკეთდა ნათელ წარმოდგენას გვაძლევს არა ერთი და ორი ქალთა საბჭოს ორგანიზატორულ ნიჭზე, მუშაობის საინტერესო ფორმებისა და გზების ძიების უნარზე.

უთუოდ ქებას იმსახურებენ: სიღნაღის ქალთა რაიონული საბჭო შობადობის დიაგრა-

მის შედგენისათვის, რაც იმას ადასტურებს, რომ ჩვენი ერისათვის საჭირბოროტო საკითხი ზრუნვის საგნად გაუხდია; ქობულეთის რაიონული საბჭო — მან ჩაატარა გმირი დედების შეკრება, სადაც მიიღეს მიმართვა ოლქის ყველა ქალთა საბჭოსადმი — „არცერთი ოჯახი 5-6 შვილის გარეშე“, ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის ქალთა საბჭო — მან ქარხნის შინმოუსვლელები აღრიცხა, მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად ერთი სამუშაო დღის ერთ საათს შინმოუსვლელთა დღე უწოდეს და იმ საათში გამომუშავებულ თანხას სისტემატურად რიცხავენ მშვიდობის ფონდში.

რატომღაც მიღებული არ არის საჩხერის ქალთა საბჭოს მუშაობის ანგარიში, მაგრამ მისაბაძია მისი ერთ-ერთი ღონისძიება: კლუბთან ბავშვთა ოთახის მოწყობა (იხ. ა. წ. ჟურნალი „საქართველოს ქალი“ № 9), რაც საშუალებას აძლევს ჩვილბავშვიან დედებს ნახონ კინო-სურათები, დაესწრონ სხვადასხვა ღონისძიებებს. დედათა და ბავშვთა ოთახი გაიხსნა ზუგდიდის ავტოსადგურთანაც, რაც ასევე ქალთა საქალაქო საბჭოს თაოსნობას უნდა მიეწეროს.

დიდი და საინტერესო მუშაობაა ჩატარებული თელავის რაიონული ქალთა საბჭოს მიერ. მეტ-ნაკლებ მოწონებას იმსახურებენ: ქუთაისის და სოხუმის საქალაქო, აჭარის საოლქო, ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის და სიღნაღის, მახარაძის, ადიგენის, გეგეჭკორის, გალის, კასპის, ახმეტის, ბორჯომის, ხელვაჩაურის, ცაგერის, გალის, გურჯაანის რაიონული და ონის № 10 სამკერვალო ფაბრიკის ქალთა საბჭოები.

ყველა წარმოდგენილი ანგარიში ვერ იქცა ჟიურის მსჯელობის საგნად, რადგან კონკურსის პირობების მიხედვით არ იყო შედგენილი და დადასტურებული, ზოგის მუშაობა, შეიძლება რაიმე მიზეზის გამო, სულაც არ არის ჩვენთვის ცნობილი. იმ მასალების მიხედვით კი, რაც დღეს ჩვენს ხელთაა, ყველაზე მრავალმხრივი და შრომატევადია ზუგდიდის, ფოთის და თბილისის საქალაქო და თელავის რაიონული საბჭოების მიერ წარმოდგენილი ანგარიშები — ესაა ორგანიზებული, თანამიმდევრული, სათანადოდ აღნუსხული და გაფორმებული საქმიანობის ილუსტრაცია.

აღსანიშნავია ადგილობრივ ხელისუფალთა და პრესის გულისხმიერი დამოკიდებულება ქალთა საბჭოების მუშაობის მიმართ, გაზეთები „კომუნიზმის სხივი“ (ცაგერი), „მებრძოლი“ (ზუგდიდი), „საბჭოთა აჭარა“ და განსაკუთრებით „ახალი კოლხეთი“ თავის ფურცლებზე დიდ ადგილს უთმობენ ქალთა საბჭოების მუშაობას.

„ჩვენ თითქო შევეჩვიეთ იმას, — წერს „ახალი კოლხეთის“ კორესპონდენტი კ. ესაკია, — რომ ქალთა საქალაქო საბჭომ უთუოდ შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელი ღონისძიება უნდა ჩაატაროს“. ამ ღონისძიებებზე მართლაც საინტერესოდ მოგვითხრობს „ახალი კოლხეთი“.

ამგვარად, რესპუბლიკის ქალთა საბჭოების



მუშაობა შეჯამებულია და ჟიურის გადაწყვეტილებით, პირველი ორი წლის მაჩვენებლების მიხედვით ჯილდო — „საქართველოს ქალის“ მანდილი“ და საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტის ქების სიგელი მიენიჭათ ზუგდიდის ქალთა საქალაქო საბჭოს (თავმჯდომარე თამარ ქუჩულორია) და თელავის ქალთა რაიონულ საბჭოს (თავმჯდომარე დარიკო ბოჭორიძე), შემდეგ კი ესტაფეტა გადაეცათ თბილისის ქალთა საქალაქო საბჭოს (თავმჯდომარე ნინო ჟვანია) და ფოთის ქალთა საქალაქო საბჭოს (თავმჯდომარე ქეთევან კვაჭაძე).

გარდა ამისა, ამხ. ამხ. ნ. ჟვანია, თ. ქუჩულორია, ქ. კვაჭაძე და დ. ბოჭორიძე დაჯილდოვდნენ საბჭოთა ქალების კომიტეტის სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით.

რესპუბლიკურ კონკურსში ნაყოფიერი მონაწილეობისათვის საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტის სიგელები მიენიჭათ ამ წერილში აღნიშნულ საოლქო, საქალაქო, რაიონულ და ცალკეულ საწარმო-დაწესებულებათა ქალთა საბჭოებს და რამდენიმე ქალთა საბჭოს თავმჯდომარეს პირადად.

იმედი გვაქვს, მოწინავე ქალთა საბჭოების გამოცდილებას გამოიყენებს ყველა რაიონისა და სოფლის ქალთა საბჭო ჩვენი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა უბნებზე მომუშავე ქალთა საკეთილდღეოდ, მათი შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად, მოზარდი, ბედნიერი თაობის უკეთ აღსაზრდელად.

შეჯიბრება გრძელდება. მასალების წარმოდგენის ვადაა ყოველი მომდევნო წლის იანვარი.

ვის გადაეცემა ესტაფეტა? — ამას მომავალი გვიჩვენებს.

გამარჯვებას გისურვებთ, მეგობრებო!



11868



# ნუცა ჩხეიძე

**(დაბადებიდან 90 წლისთავის შესრულების გამო)**

მსახიობი არ არის ერთხელ წაკითხული წიგნი, რამდენიმე ხნის შემდეგ ხელახლა რომ წავიკითხოთ, არც მხატვრის მიერ შესრულებული ტილოა, რომლითაც, როცა კი სურვილი გვექნება, დავტკბებით, არც მუსიკოსის რომელიმე ნაწარმოებია, რომელსაც სურვილის მიხედვით ყოველ დროს ვისმენთ. მსახიობის ხელოვნება უფრო ელვასა ჰგავს, რომელსაც მხოლოდ მისივე თანამედროვე მაყურებელი ხედავს, აღიქვამს. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ მსახიობს თითქოს იცნობენ მხოლოდ მისი თანამედროვეები. ის მსახიობი, რომლის ნიჭის ბრწყინვალება სცენას საგანგებო ნათელსა ჰფენს, სამუდამო სახელს იმკვიდრებს ამა თუ იმ ერის თეატრალურ ხელოვნებაში.

ნინო (ნუცა) ჩხეიძე ქართული თეატრის იმ რჩეულ მსახიობთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც რამდენიმე ათეული წლის მანძილზე წევდნენ თეატრის ჭაპანს, იგი მიაჩნდათ წმიდათაწმიდად და მთელი თავისი სიცოცხლე გულმოდგინედ, ერთგულად ემსახურნენ ქართულ თეატრს, როგორც დიდ საზოგადოებრივ-ეროვნულ და სანუკვარ საქმეს.

12 წლის გოგონა, თავისი უფროსი დის მაშოს მოულოდნელი ავადმყოფობის გამო (მაშო მსახიობი იყო) სცენაზე აიყვანეს, და პატარა ნინოსთვის ეს გამოსვლა მისი მომავლის გადამწყვეტი გახდა. იმ დროს ქალისთვის არც ისე ადვილი იყო გადალახვა ძველი ოჯახური ტრადიციებისა, რომლის მიხედვით ქალის მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში სათაკილო მოვლენადაც კი ითვლებოდა.

ქართული სცენის კორიფეებმა — კოტე მესხმა და ლადო მესხიშვილმა, რომლებსაც ნუცა თავის მასწავლებლებად თვლიდა, კარგად განჭვრიტეს ახალგაზრდა ნინოს აქტიორული მონაცემები და აზიარეს ქართულ სცენას.

ნ. ჩხეიძის ღვაწლი ქართულ თეატრში მხოლოდ მრავალი როლის შესრულებით არ განისაზღვრება, თუმცა უმთავრესად მთავარ გმირებს ანსახიერებდა. ეს ღვაწლი განისაზღვრება შესრულების მანერით, აქტიორული ინდივიდუალობით. ნ. ჩხეიძე განსაკუთრებული ოსტატობით გადმოგვცემდა გრძნობებისა და ვნებების დრამატიზმს, ტრაგიზმს, ზნეობრივ სიწმინდეს, სიფაქიზეს, ნებისყოფის სიძლიერეს, ხოლო მისი ხავერდოვანი ხმის ტემბრი და მუსიკალობა სცენასა და მაყურებელს შორის უხვად აბამდა უხილავ კავშირს და ამყარებდა ინტიმს.

ადვილად რომ წარმოვიდგინოთ რაოდენ ძლიერი, მართალი და ემოციური იყო ნუცას მიერ განსახიერებული როლები, საკმარისია გადავხედოთ მსახიობის არქივს, სადაც ბევრია სხვადასხვა დროს გამოგზავნილი მილოცვებისა და ალტაცების წერილები:

„...იმას, ვინც ჩვენი ყრმობის სიზმრები ყმაწვილურ ოცნებით მოხიბლა, ვინც ჩვენი ცხოვრების გაზაფხული თავისი ძლიერი ნიჭით გაახალისა, ვინც ადამიანის სულის სიღრმეში ჩაგვახედა და მის ტანჯვასა და სიხარულს გვაზიარა, იმას ეკუთვნის ამ სახსოვარ დღეს ჩვენი აღტაცება, სიყვარული და მოწიწებული სალამი".

„...დაფნის გვირგვინს გიწნავთ ქართველი ერი, სამადლობელოდ იმისა, რომ ნახევარი საუკუნე იღწვოდით ერისათვის, ეროვნული კულტურისათვის, შრომობდით ხელწმინდად, იწვოდით გულწმინდად და ანათებდით ბრწყინვალედ. ქართული სცენის შემამკობელო, ბევრჯერ ცეცხლოვანებით შეგირხევია ჩვენი სული და ზეშთაგონებით ზე აგიტაცია. თქვენ, როგორც იდეისა და მშვენიერების მსახური, ყოველთვის იდექით ჭეშმარიტი ხელოვნების სიმაღლეზე, ქართული სიტყვის ხავერდოვნად ამმეტყველებელო".

გ. ლეონიძე."

მრავალფეროვანი იყო ნ. ჩხეიძის მიერ შესრულებული როლები, მაგრამ მისი შემოქმედების გვირგვინი სამშობლოს თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის მებრძოლ ქალთა იერსახეების განსახიერება იყო.

ნ. ჩხეიძე ქართულ სცენაზე ტრაგედიულ სახეთა უბადლო შემსრულებელი იყო: იქნებოდა ეს მომავლის იმედით შთაგონებული, სამშობლოსათვის თავდადებული, ბრძოლის ცეცხლიდან გამარჯვებით გამოსული ზეინაბი, თუ სიყვარულის მსხვერპლად შეწირული იადითი, ან ადამიანური უფლებებისათვის მებრძოლი ნორა, დამცირებული, მოტყუებული, უსამართლობით

გააფთრებული მედეა, ბიწიერთაგან ტრაგიკულად დაღუპული მარგარიტა გოტიე; ან კიდევ მძაფრი და უნაზესი ლირიზმით სავსე, კეთილშობილი კრუჩინინა, ციური ოფელია თუ წრფელი და ნაზი სიყვარულის მსხვერპლი დეზდემონა, ან მამის ერთგული კორდელია, ნ. ჩხეიძის მიერ განსახიერებული თითოეული სახე თავისებური, განუმეორებელი სიცოცხლით ცხოვრობდა სცენაზე, აკი, ამიტომ ჩვენმა ცნობილმა მწერალმა ს. ფაშალიშვილმა მსახიობს ასე მიულოცა:

„და რა ბრწყინვალე სათნოების
დროშა გიჭირავს,
ვინ არ ისურვოს რომ შენი გზა
დიდებით იქოს?
შენ და ლადოსთვის რაც ცრემლები
შემოგვიწირავს,
ალალი იყოს, სანატრელო, ალალი
იყოს!“

მართალია, ნ. ჩხეიძემ ქუთაისის თეატრში აიდგა ფეხი, მაგრამ ქუთაისის გარდა იგი მუშაობდა თბილისში, თელავში, სოხუმში, ბათუმში, უკანასკნელად კი რუსთაველის თეატრში. ბევრი სეზონი აქვს გატარებული კ. მარჯანიშვილთან. მონაწილეობა აქვს მიღებული კინოფილმებში: „საკანი № 79“, „არსენა“, „დარიკო“ და სხვა.

ნ. ჩხეიძის, როგორც პროფესიონალი მსახიობის, ცხოვრებაში დიდი როლი ითამაშა ცნობილმა ქართველმა რეჟისორმა, მისმა ცხოვრების თანამგზავრმა მიხეილ ქორელმა, რომელთანაც ერთად რამდენიმე ათეული წელი სწევდა ქართული თეატრის ჭაპანს. ამ ორმა დიდად ღვაწლმოსილმა ხელოვანმა თეატრისადმი სიყვარული შვილებსაც უანდერძეს და მათი სამი შვილი — მედეა, მერი, გიორგი მშობლების კვალს გაჰყვნენ, ისინიც ხელოვნებას ეზიარნენ.

მაგრამ საოცარი კიდევ ის გახლდათ, რომ ჩვენი ქართული ხალხური ანდაზისა არ იყოს — „ფუძემ მოითხოვა-ო“ — ნ. ჩხეიძის ოჯახს სიძეებიც ხელოვნების დარგის მოღვაწეები შეხვდათ.

„სიძეები ძალიან მკაცრი კრიტიკოსები მყავსო, — ხშირად უთქვამს ქალბატონ ნუცას.

მედეას მეუღლეა ცნობილი ქართველი რეჟისორი, სსრკ სახალხო არტისტი არჩილ ჩხარტიშვილი, ხოლო მერის მეუღლე გახლდათ ჩვენი სასიქადულო მსახიობი, სსრკ სახალხო არტისტი სერგო ზაქარიაძე, რომლის ნიჭის თაყვანისმცემელნი და მადლიერი მაყურებლები ახლა უკვე ყვავილებით ამკობენ მის ნაადრევ საფლავს.

...დიდია ნ. ჩხეიძის ამაგი და ღვაწლი ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში. ამიტომ ასეთი მოწიწებით ვიგონებთ მის სახელს.

ნუცა ჩხეიძის ცხოვრება მოქალაქეობრივი სისპეტაკისა და მაღალი ზნეობის ნიმუში იყო, თაობიდან თაობას ლეგენდასავით გადაეცემა სახელი ნუცა ჩხეიძისა, როგორც ქართული სცენის სიდარბაისლის, სიამაყისა და სინდისის სიმბოლოსი.

მარგარიტა გოგოლაშვილი



მარგარიტა გოტიე

მირიან მირნელი

## ტალღა და წუთი

ზღვა ფრთებად ქარებს ისხამს და ისხამს
და ფეთქავს მერე ძლიერი კუნთი,
ტალღა თითქოსდა ძარღვია ზღვისა
და აქვს უფლება იცხოვროს წუთით.

და აქვს უფლება იცოხნოს ქვიშა,
ქვიშაში ვნება ჩამარხოს მცხრალი,
რამეთუ წუთით ცხოვრება ნიშნავს —
მარადიული დატოვოს კვალი.

ეხლება ტალღა — გუნდი და გუნდი —
ბოძებს და ბურჯებს — დუღაბით ნაგებს,
და ჩვენ ხანდახან გვატყვევებს წუთი,
რომელიც იმწუთს ყველაფერს ანგრევს.

გვატყვევებს...
ტალღებს თვალებში ვუმზერთ,
და თითქოს საშიშ სრუტეში შედის
წუთი, რომელსაც ტვირთივით ზურგზე
ჰკიდია დიდი გემების ბედი.

ზღვა ფრთებად ქარებს ისხამს და ისხამს
და ფეთქავს, ფეთქავს ძლიერი კუნთი,
ტალღა თითქოსდა ძარღვია ზღვისა
და აქვს უფლება იცხოვროს წუთით.

არ უჩანს ბოლო ტალღების როკვას...
და ერთდებიან ნაპირთან უცებ —
წუთი,
რომელიც ძარღვივით ტოკავს,
ძარღვი,
რომელიც აღბეჭდავს წუთებს.

ა. აჯინჯალი

## ბავშვები

ბავშვებთან თამაში მიყვარდა მუდამ,
ბავშვებთან თამაში მე ახლაც მინდა, —
დარდი და ტკივილი არ იცის გულმა,
როდესაც ბავშვებში ვთამაშობ მშვიდად.

ბავშვებმა არ იციან, რა არის წყევლა,
არავის არჩევენ ჩინით და რანგით,
თანასწორ უფლებით სარგებლობს ყველა,
ყველა თავთავის ნებაზე დარბის...

ბავშვებში არ ვიცი ტკივილი, დარდი,
ფრთები მესხმის და მაღლდება ჭერი,
ჩემი ბავშვობა ბავშვებთან დადის,
თამაშობს, დახტის, როკავს და მღერის.

ბავშვებში ვეძებ სიხარულს, შვებას,
ბავშვის გუნებას ველტვი და ვნატრობ,
ბავშვებში ჩემს თავს ბედნიერს ვხედავ,
ბავშვებში არვინ მიმეტებს სამტროდ...

ბავშვებთან თამაში მიყვარდა მუდამ,
თამაშს ბავშვებში ვისურვებ მარტო.

თარგმნა მორის ფოცხიშვილმა

ეროვნული

ბორის ეგოროვი

# ავადმყოფობის ისტორია

იუმორესკა

პეტრე სოროკინი უკვე ოთხი დღეა გრიპითაა ავად. საწოლთან პატარა კარადა უღგია წამლებით. ჭალზე გაზეთია ჩამოფარებული; რადიო გამორთულია. ლაზარეთულ სიწყნარეს მხოლოდ გალიაში მყოფი ჩიტბატონას ჟღურტული არღვევს.

— მოიწყინე, პეტია? — ეკითხება სოროკინს ცოლი. — ასეა, როცა მუშაობდი, მაშინ საჭირო იყავი, ახლა კი არავის ახსოვხარ.

ამის თქმა იყო და ტელეფონიც აწკრიალდა. ადგილკომის თავმჯდომარე ბორეიკო შეწუხებულიყო ავადმყოფობის მდგომარეობით და აცნობა, ავადმყოფის სანახავად საღამოს შემოვივლითო.

ბორეიკოს თან მგეგმავი კუტაისოვი მოჰყვა.

— აბა, გმირო, როგორა ხარ, რამდენი გაქვს სიცხე და მაჯა? — წამოიძახა ადგილკომის თავმჯდომარემ. — იქ ჩვენთან ისეთი საქმეები ხდება და შენ კი, ამ დროს წევხარ!

სოროკინმა რაღაც დამნაშავედ იგრძნო თავი. ბორეიკომ ეს ვერ შეამჩნია და განაგრძო:

— ყოველდღე კრებებს ვიწვევთ, ჭაპანს ვეწევით...

ოთახში შემოვიდა ანა გავრილოვნა, სოროკინის მეუღლე და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს ჰკითხა, ხომ არ ივახშმებთო.

— ჩვენ, ასე ვთქვათ, ნახევარი საათით მოვედით, — მოკრძალებით თქვა კუტაისოვმა, თან სახე გამოუცოცხლდა და გაუბრწყინდა.

— რას ბრძანებთ! თქვენი მოსვლა ისე გამეხარდა! მეგონა, სულ მთლად დაივიწყეთ ჩემი ქმარი. როგორც იქნა, მობრძანდით და უჭმელებს გაგიშვებთ? ხომ პირდაპირ სამუშაოდან მოდიხართ?

— სამუშაოდან მოვდივართ, — გამოუტყდა კუტაისოვი, — ვშრომობთ, ჭაპანს ვეწევით.

— მით უმეტეს. ღვეზელით გაგიმასპინძლდებით, სოკოს წნილით... ეს რაღა არის? — შეეკითხა ანა გავრილოვნა და ფუთაზე უჩვენა.

— ავადმყოფისათვის გადასაცემი, — დაუმატა კუტაისოვმა. — ხილია ცოტა და კიდევ რაღაც, გაციების საწინააღმდეგო... იცი რა, სიმონიჩ, მოდი ეგ შენი ობლატ-ტაბლეტები აალაგე, ახლა ჩვენ უნდა გიმკურნალოთ!

საზოგადოებრიობის წარმომადგენლები „მკურნალობდნენ“ ავადმყოფს და თავიანთი თავიც არ ავიწყდებოდათ. ჭიქებს ივსებდნენ, ალბათ, პროფილაქტიკისათვის. ბორეიკო ყოველ ხუთ წუთში ერთხელ ამბობდა: „უნდა გითხრათ, რომ იშვიათი ღვეზელია!“ კუტაისოვიც ჰვერს უკრავდა და სოკოს აქებდა.

როცა „გაციების საწინააღმდეგო საშუალება“ გამოელიათ, კუტაისოვმა ჯიბიდან პაპიროსი ამოიღო და შეეკითხა:

— შეიძლება მოწევა? თუ, რასაკვირველია, მასპინძლები წინააღმდეგნი არ არიან.

— ერთი მეც მომეცი, გავაბოლო! — შემოუერთდა ბორეიკო.

— ჰო და ასე. დრო მიდის, ვბერდებით, ვსნეულდებით. — ფილოსოფიურად წარმოთქვა ადგილკომის მეთაურმა და თან ჰერში ბოლის რგოლები აუშვა.

სტუმრები მყუდროდ და თბილად გრძნობდნენ თავს. „ნახევარმა საათმა“ დიდი ხანია განვლო და წასვლის სამზადისს მხოლოდ მაშინ შეუდგნენ, საათის ისარი თორმეტს რომ მიუახლოვდა.

— ასე, სიმონიჩ, აბა შენ იცი, გამოჯანმრთელდი! — უსურვა წასვლისას კუტაისოვმა. — ჩვენ ფეხზე წამოგაყენებთ.

ბორეიკო კი, რომელსაც უკვე კარის სახელური ეჭირა, ანა გავრილოვნას გამოუტყდა:

— სწორი იყო თქვენი საყვედური, ჩემი მეუღლე დაივიწყეთო. ეს უსულგულობაა, მაგრამ ამ საქმეს კამოვასწორებთ...

მეორე დილით ტელეფონმა აცნობა, რომ სოროკინის ნახვა მომარაგების განყოფილების თანამშრომელთა ჯგუფს სწყუროდა.

„მოსაკითხი“, რომელიც მომმარაგებლებმა მოიტანეს, ისეთივე შემადგენლობისა იყო, როგორც პირველად, მხოლოდ ცოტა მეტი.

წინამორბედთა მსგავსად მომმარაგებლები ღვეზლებს და სოკოს წნილს აქებდნენ, არც შინ წასვლას ჩქარობდნენ, თუმცაღა განაცხადეს, რომ მხოლოდ ნახევარ საათს გაჩერდებოდნენ. მათი წასვლის შემდეგ ანა გავრილოვნამ უთხრა ქმარს:

— პეტია, გადაიცვი პიჟამო და დერეფან-ში გადი ცოტა ხნით, შენმა ამხანაგებმა იმდენი აბოლეს, რომ ფანჯრებს გაღება სჭირდება.

სოროკინს იმ ღამეს ცუდად ეძინა. თითქოს რაღაც მაჯლაჯუნები აწვებოდნენ. დაესიზმრა, ვითომ აუარებელი სტუმარი ეწვია, იმდენი იყვნენ, რომ ოთახში აღარ ეტეოდნენ და ვიღაცამ წინადადება შემოიტანა, სოროკინი თავის საწოლიანად სამზარეულოში გადაეყვანათ.

მოვიდა ექიმი, გასინჯა ავადმყოფი და დიდხანს უკმაყოფილოდ აქნევდა თავს, რადგან სოროკინს მხნე შეხედულება არა ჰქონდა.

საზოგადოებრიობა კი სოროკინის მდგომარეობის მიმართ სულ უფრო და უფრო მეტ ინტერესს იჩენდა. მომმარაგებლების შემდეგ სოროკინი ბუღალტერიის წარმომადგენლებმა ინახულეს — სამმა ქალმა: ალა ივანოვნამ, ბელა ივანოვნამ და სტელა ივანოვნამ.

— სოროკინ, ძვირფასო, როგორ ვერ გაუფრთხილდით თავს! — წარმოთქვა ალა ივანოვნამ, — ჯანმრთელობის მიმართ დიდი ყურადღებაა საჭირო: ხელების ბანვა, ხილის გარეცხვა, რძის ადუღება; კარების სახელურები კვირაში ორჯერ კარბოლის მჟავათი უნდა წმინდოთ, ეს წესია. ცოლსაც კი არ უნდა აკოცოთ, როცა გრიპზე გაქვთ ეჭვი, აი, ასე გადასდო სიდელკინს საკუთარმა ცოლმა გრიპი და ახლა გულის გართულება აქვს.

— აჰ, გულის ეს გართულება! მგონი, ცოლი აქ არაფერ შუაშია... — დაცინვით წარმოთქვა ბელა ივანოვნამ.

— აი ასე, ახლა ჭორიკანობა დაიწყება, — შენიშნა სტელა ივანოვნამ.

— მოდით, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ.

ავადმყოფთან ლაპარაკის თემა ამოიწურა. სამაგიეროდ დაუშრეტელი წყარო მოძებნეს მის მეუღლესთან სამუსაიფოდ. თურმე, იგი ჩინებული მკერავი იყო. ალა, ბელა და სტელა ერთმანეთს არ აცლიდნენ და კითხვებს აყრიდნენ:

— ანა გავრილოვნა, როგორ აკეთებთ ქვედატანზე რბილ ნაკეცებს?

— რა კარგად გაქვთ გამოყვანილი ირიბი სახელურები. გაგვიზიარეთ!

— ტუნიკა თქვენ არასდროს შეგიკერავთ? ახლა ეს მოდაში შემოდის.

ოთახი სავსე იყო სასიხარულო, გულის ამაჩვილებელი შეძახილებით. პეტრე სიმონიჩი კი იწვა და ფიქრობდა, რომ იგი აქ ზედმეტია, და კიდევ იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ წასულიყო დერეფნის ბოლოში, საჭიროებისათვის. სოროკინმა რამდენჯერმე განიზრახა წამოდგომა. მაგრამ დაუნდობელ ქალებს არ ესმოდათ გადაკრული ნათქვამი და ერთსა და იმავეს გაიძახოდნენ: „ავად ხართ, წოლა გჭირდებათ“.

სოროკინს ფერ-ფური მისდიოდა, აქრქოლებდა და მოუთმენლად ელოდა, როდის მოთავდებოდა ქვედატანების დემონსტრაცია. ბოლოს, როგორც იქნა, ქალები წავიდნენ.

— ჰო და ასე, ჩვენ მშვენივრად გავატა-

რეთ დრო. ეს რომ არა, ვინ იცის, როდის შევგროვდებოდით.

ყოველდღე პეტრე სიმონიჩს გულმხურვალე დაპირებები ესმოდა:

— სოროკინ, ფეხზე წამოგაყენებთ!

მაგრამ მას რატომღაც აღარ სჯეროდა. სიცოცხლე მისთვის აუტანელი ხდებოდა. ყველაფერ ამას ახალი მინუსი მიემატა: ანა გავრილოვნა უკვე უწინდებურად აღარ აქცევდა ყურადღებას. იგი მიღებებით იყო შეწუხებული.

— აჰ, დღეს განყოფილების უფროსი უნდა მოვიდეს!

— ოჰ, ახლახან კანცელარიის გამგემ დარეკა, საღამოს შემოვივლიო.

— ანიჩკა, მე ხომ გთხოვე, აფთიაქში შეგევლო. ეფედრინი და წვეთები წამოგეღო...

— ეჰ, ჩემო ძვირფასო, ადვილი სათქმელია, აფთიაქში კი შევიარე, მაგრამ რეცეპტებზე დიდი რიგი იდგა. მე კი დგომის დრო არ მქონდა, გასტრონომში ენის ძეხვს აძლევდნენ. ჩემთვის ხომ არ მინდა? ისევ შენი თანამშრომლებისათვის, თავბრუ მესხმის.

რადგან ცოლმა საქმეს თავი ვერ გაართვა, სოროკინი თვითონ რეცხავდა ჭურჭელს, გვიდა იატაკს და ანიავებდა ოთახს მორიგი „მნახველების“ შემდეგ.

ის თანამშრომლები, რომელთაც არ ჰქონდათ საშუალება სოროკინი ენახათ, რეკავდნენ და ტელეფონით მის ჯანმრთელობას კითხულობდნენ.

საკმარისი იყო, სოროკინს ცოტა ჩაეთელიმა, რომ ტელეფონის ზარი შეაკრთობდა და ჩუსტების ტყაპუნით აპარატთან მიფრატუნდებოდა ხოლმე.

— დიახ, დიახ! გამარჯობათ, გმადლობთ. 33 და 2. ცოტა მტკივა, მაგრამ საერთოდ არა მიშავს რა. დიახ, ცხვირში ვიწვეთებ. ვეცდები.

როგორც კი დაწვებოდა, აბეზარი ტელეფონის ზარი ხელახლა წამოაგდებდა ლოგინიდან.

— დიახ, დიახ. გამარჯობათ. გმადლობთ. 38 და 2. ყელი? ცოტა მტკივა, მაგრამ არა მიშავს-რა. ცხვირში წამალს ვიწვეთებ...

„იქნებ, უკეთესია, სულაც არ დავწვე? — ფიქრობდა სოროკინი, — სულ ერთია, ჩემი მოსვენება არ იქნება“, და იგი ტელეფონთან დარაჯობდა, ახალი გულშემატკივრების მოლოდინში. დარაჯობდა, სანამ ცოლი მაღაზიებიდან დაბრუნდებოდა.

ერთხელაც, ანა გავრილოვნა ბაზრიდან რომ დაბრუნდა, ავადმყოფი შინ აღარ დაუხვდა. პატარა კარადის თავზე, წამლების გვერდით, ქაღალდის ნაგლეჯი იდო: „საყვარელო ანა, ნუ დამემდურები, სხვანაირად ვერ მოვიქცეოდი“. საბრალო მეუღლეს ციემა ოფლმა დაასხა. ასე ხომ ჩვეულებრივად ტრაგიკული ბარათები იწყება.

„მე სამუშაოზე გავედი. ვფიქრობ, იქ უფრო მალე მოვრჩები“.

— ოჰ, ღმერთო ჩემო! — წარმოთქვა ანა გავრილოვნამ, — კიდევ კარგი, ცოცხალია!

და მას კუტაისოვის სიტყვები გაახსენდა: „ჩვენ მას ფეხზე წამოვაყენებთ“.

თარგმნა ელენე ხელაიამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კაპიტალის სამყაროში

მათზე ლაპარაკობენ

## თავისუფლება ანჯელა დევისს!

დეკემბრის ერთ ღამეს ნიუ-იორკის პოლიციამ, რომელსაც ცხრა მანქანისაგან შემდგარი დაცვა ახლდა, კალიფორნიის ციხიდან აეროდრომისაკენ გზას გაუყენა შავკანიანი ქალი — ანჯელა დევისი.

რა დააშავა ასეთი ანჯელა დევისმა?

აი რას იწერებოდა დევისი ციხიდან: „რეაქცია იმიტომ მდევნის, რომ კომუნისტი ვარ, ვეკუთვნი რევოლუციურ ავანგარდს, მილიონობით დაჩაგრულ ადამიანთან ერთად სოციალური თანასწორობისათვის ვიბრძვი. ჩემი მტრების გაუკუღმართებული წარმოდგენით კი, ყველა რევოლუციონერი, ვინც არ უნდა იყოს იგი, დამნაშავეა“.

როგორც ცნობილია, ამერიკელი კომუნისტის ანჯელა დევისის დევნა 1969 წელს დაიწყო. უპირველეს ყოვლისა, ეს ბრწყინვალე მეცნიერი ქალი კალიფორნიის ინსტიტუტიდან დაითხოვეს, სადაც იგი მასწავლებლად მუშაობდა, მაგრამ რეაქცია ამით როდი დაკმაყოფილდა. ანჯელა დევისი მხურვალე სიტყვებით გამოვიდა „შავი პანტერებისა“ და სხვა პროგრესულ მოძრაობათა დასაცავად, რითაც ამერიკელი რასისტების გულისწყრომა გამოიწვია. „წითელი დევისი“ რომ უვნებელეყოთ, გამოძიებათა ფედერალურმა ბიურომ ანჯელა დევისი „განსაკუთრებულ დამნაშავეთა“ სიაში შეიტანა და მისი ოფიციალური ძებნა გამოაცხადა.

ანჯელა ორ თვეზე მეტ ხანს იმალებოდა ერთგულ მეგობრებთან, ოქტომბერში ნიუ-იორკის პოლიციამ მაინც მოახერხა მისი დაპატიმრება.

მცირეოდენი ხნის შემდეგ სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება: პატიმარი გადაეცათ კალიფორნიის შტატისათვის, მათთვის, ვინც პატრიოტ ქალს ყოვლად უსაფუძვლო ბრალდება შეუთითხნა და ვისაც ასე სწყუროდა გასწორებოდა „საშიშ დამნაშავეს“.

მიუხედავად ანჯელას ადვოკატის არაერთგზის ცდისა, მიუხედავად მილიონობით ადამიანის მოთხოვნისა, გაუქმებინათ ნიუ-იორკის სამარცხვინო გადაწყვეტილება, ანჯელა დევისი მაინც გადასცეს კალიფორნიის შტატის ხელისუფალთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ამერიკელი პატრიოტის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. ბრალდებებს, რომლებიც მას წაყენებული აქვს, შეიძლება სიკვდილი ან სამუდამო საპყრობილე მოჰყვეს.

საპროტესტო მოძრაობა გრძელდება, „თავისუფლება ანჯელა დევისს!“ — მოითხოვენ საბჭოთა ქალები.

## ამალია ფლემინგი

პენიცილინის გამომგონებლის ალექსანდრე ფლემინგის ქვრივის — ამალია ფლემინგის სახელი მთელ მსოფლიოშია ცნობილი. იგი დიდხანს მუშაობდა ქმართან ერთად.

ომის პერიოდში ამალია ფლემინგი (ეროვნებით ბერძენი) საბერძნეთის წინააღმდეგობის აქტიური მონაწილე იყო. თავისუფლების სიყვარულმა ჩააყენა მამაცი ქალი „შავი პოლკოვნიკების“ წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ეს 60 წლის მანდილოსანი ციხეში ჩააგდეს. ბერძენმა ხელისუფლებმა მას 16 თვის პატიმრობა მიუსაჯეს; ბრალად დასდეს ალეკოს პანაგულისის ციხიდან გაქცევის სამზადისში მონაწილეობა. ალეკოს პანაგულისს სამი წლის წინ პაპადოპულოზე თავდასხმისათვის სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი.

## გლორია სტაინემი

იგი მეტად ლამაზი ქალია, მისი სურათი ამას წინათ ამერიკული ჟურნალის „ნიუსუიკის“ გარეკანზეც კი იყო დაბეჭდილი. მაგრამ ის არც კინოვარსკვლავი გახლავთ და არც მანეკენი. ჟურნალის ხუთ გვერდზე მოთხრობილია ჟურნალისტისა და ქალთა განთავისუფლებისათვის მოძრაობის („ვუმენს ლიბ“) აქტიური მონაწილის — გლორია სტაინემის ცხოვრების შესახებ. გლორია სტაინემი, „ქალთა პროტესტის“ ერთგვარი სიმბოლო გახდა ამერიკაში. „რაკი მათ ქალის ჭკუაგონება არა სწამთ, ამიტომ სულაც არ ვაპირებ ვაჟს დავემსგავსო, ჩექმა ჩავიცვა და თმა შევიკრიჭო“ — განაცხადა მან. ამერიკელები ინტერესით უსმენენ ამ „სუპერქალს“, რაც სულაც არ არის შემთხვევითი. საზოგადოებრივი აზრის უკანასკნელი გამოკითხვის დროს დადგინდა, რომ ამერიკელების 89 პროცენტი წინააღმდეგი არ არის პრეზიდენტის პოსტზე ქალი იქნეს არჩეული.

## ფანი ჯორდანი

ამ 24 წლის ამერიკელი კომუნისტი ქალის სურათები მრავლად იბეჭდება დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში. ფანი ჯორდანი ანჯელა დევისის და გახლავთ. იგი ევროპის ქვეყნებში მოგზაურობს და მხურვალე სიტყვებით გამოდის ანჯელა დევისისა და ზანგი მოსახლეობის თანასწორუფლებიანობის დასაცავად. მოგზაურობის იდეა მას გაუჩნდა ჩრდილოეთ და ლათინური ამერიკის ახალგაზრდათა და სტუდენტთა მიტინგზე, რომელიც ჩილეში ჩატარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი საოჯახო კლუბი

## პედიატრიის ანბანი

განყოფილებას ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ი რ ა კ ლ ი ფ ა ღ ა ვ ა.

# რად სტკივა ბავშვს მუცელი?

ბავშვებს არაიშვიათად სტკივათ მუცელი. ნერვიული ბავშვები ხშირად სრულიად უმიზეზოდ უჩივიან ტკივილს მუცლის არეში, რომ უარი თქვან საჭმელზე, მიიპყრონ უფროსების ყურადღება, ჭირვეულობა აისრულონ და სხვა. მაგრამ, უმრავლეს შემთხვევაში, ტკივილები მუცელში ამა თუ იმ დაავადების ნიშანია.

ჩვილ ბავშვებში მუცლის ტკივილი ძირითადად ტირილით მჟღავნდება. ტკივილის მიზეზი ამ ასაკში უფრო ხშირად კუჭ-ნაწლავის აშლილობაა. ზოგჯერ ყრუ, მოვლითი ხასიათის ტკივილს იწვევს პერისტალტიკის გაძლიერება, გაზების დიდი რაოდენობით დაგროვება და ნაწლავების სპაზმი მწვავე ენტეროკოლიტის, დისპეპსიისა და დიზენტერიის დროს. ამ შემთხვევაში ბავშვები ტირიან, იკლაკნებიან, ასავსავებენ ფეხებს და წყნარდებიან მხოლოდ კუჭის მოქმედების ან ოყნის გაკეთების შემდეგ. ღებინება, ფაღარათი და განავლის ცვლილებები ამ შემთხვევაში საშუალებას გვაძლევს ადვილად დავსვათ დიაგნოზი და დავნიშნოთ შესაბამისი მკურნალობა.

უფრო ძნელია ამ ასაკში ინვაგინაციის ანუ ნაწლავის ერთი მარყუჟის მეორე მარყუჟში ჩაჭედვის დიაგნოზის დასმა, რაც არც თუ ისე იშვიათად გვხვდება 4-10 თვის ბავშვებში.

ამ შემთხვევაში, სრულიად ჯანსაღ ბავშვს უცბათ ეწყება შეტევითი ხასიათის მწვავე ტკივილები, რომელიც 1-2 წუთის განმავლობაში გრძელდება. მალე ეწყება ღებინება, წყდება გაზებისა და განავლის გამოყოფა, მჟღავნდება მოწამვლის ნიშნები. ოყნის გაკეთების შემდეგ ბავშვი არ წყნარდება, ხშირად ოყნის შემდეგ სუფთა სისხლი გამოიყოფა, ეს კი ნაწლავის ჩაჭედვაზე მიუთითებს და სასწრაფო, გადაუდებელ ქირურგიულ დახმარებას მოითხოვს.

არაიშვიათად ამ ასაკში მუცლის ტკივილები შეიძლება გამოწვეული იქნეს თიაქრის ჩაჭედვის შედეგად. დიაგნოზის დასმა აქ შედარებით ადვილია. გამოუცდელმა ადამიანმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუწყოს წვალება თიაქრის პარკს ჩასასწორებლად. ავადმყოფი აუცილებლად ექიმ სპეციალისტს უნდა ვუჩვენოთ.

გაცილებით იშვიათად მუცლის ტკივილი ჭიაყელა ნაწლავის ანთების (აპენდიციტი), ან მუცლის ფარის ანთების (პერიტონიტი) მაჩვენებელია, რაც უსათუოდ გამოცდილი ექიმ ქირურგის კონსულტაციას საჭიროებს.

უფრო ხშირად ჩვილ ბავშვებში მუცლის ტკივილებს კვების რეჟიმის დარღვევა იწვევს: კვების საათების აღრევა, ერთფეროვანი, უპირატესად ცილოვანი ან ნახშირწყლოვანი საკვები, ახალი, შეუჩვეველი საკვების დიდი რაოდენობით მიღება, ძლიერ ტკბილი ან წინადღით მომზადებული საკვებიც ხშირად იწვევს მუცლის ტკივილს, გაზების დაგროვებას, დუღილის ან ლპობითი პროცესების გაძლიერებას. მაგრამ ეს ტკივილები მალე გაივლის კვების რეჟიმის მოწესრიგების შემდეგ.

მოზრდილ ბავშვებში მუცლის ტკივილები არა მარტო მუცლის ღრუს ორგანოების, არამედ ხშირად სხვა, მუცლის ღრუს გარეშე მდებარე ორგანოებისა და, ზოგჯერ, ზოგადი დაავადების ნიშანია.

მუცლის მწვავე ტკივილს იძლევა მწვავე გასტრიტი, გამოწვეული დიეტის დარღვევით ან მოწამვლით. ამ შემთხვევაში ტკივილი შეტევითი ხასიათისაა და პირღებინების შემდეგ მცირდება.

თუ მოვლითი ხასიათის ტკივილები ჭვლების ხასიათისაა და ჭიპის მიდამოში ლოკალიზდება, ეს ენტერიტის ნიშანია. თუ ტკივილი მარცხენა თეძოს არეში იყრის თავს, ის კოლიტზე მიუთითებს, როცა ამ ტკივილებს ჭინთვებიც და მოტყუების გრძნობაც ახლავს, ეს უკვე დიზენტერიაზე მიგვანიშნებს.

გაფანტული ყრუ ტკივილები, რომელიც ზოგჯერ თვეობით და წლობით გრძელდება, უფრო ხშირად ჭიებით ინვაზიის შედეგია.

მოულოდნელ მწვავე, მჭრელი ხასიათის ტკივილს მარჯვენა ფერდქვეშა მიდამოში ჭიაყელა ნაწლავის მწვავე ანთება იწვევს. ამ შემთხვევაში აღინიშნება ღებინება, ტემპერატურის მომატება, მაჯის გახშირება და ეს სასწრაფო ქირურგიულ დახმარებას მოითხოვს.

მწვავე მჭრელი ხასიათის ტკივილები, რომელიც მუცლის მიდამოში ან უპირატესად ჭიპის ირგვლივ ლოკალიზდება, ნაწლავების გადახლართვასა და გაუვალობაზე მიუთითებს. ამ შემთხვევაშიც ყურადღებას იპყრობს ღებინება, მუცლის შებერილობა, განავლისა და გაზების გამოყოფის შეზღუდვა, ესეც სასწრაფო ქირურგიულ ჩარევას საჭიროებს.

გაფანტული ტკივილები, მუცლის პრესის დაჭიმვა, რომელსაც შეუჩერებელი ღებინება და მაღალი ტემპერატურა ახლავს და რასაც წინ უძღვის აპენდიციტის შეტევა, თიაქრის ჩაჭედვა ან კუჭის წყლულის არსებობა, მუცლის ფარის ანთების ანუ პერიტონიტის მომასწავებელია, რასაც განსაკუთრებული სასწრაფო ქირურგიული დახმარება სჭირდება.

თუ ყრუ ხასიათის გაფანტული ტკივილები დიდი ხნის განმავლობაში გრძელდება, უნდა ვიფიქროთ, რომ ქრონიკულ აპენდიციტთან ან მეზენტერიტთან გვაქვს საქმე. აპენდიციტის დროს ტკივილი უფრო მარჯვენა თეძოს ფოსოს მიდამოში ლოკალიზდება, ნაღვლის ბუშტის ანთების დროს მარჯვენა ფერდქვეშ, მეზენტერიტის (მუცლის ლიმფური კვანძების ანთება) შემთხვევაში ტკივილები გაფანტულია მთელი მუცლის მიდამოში. ამავე დროს ვამჩნევთ ტუბერკულოზური ინტოქსიკაციის სხვა ნიშნებსაც—უმადობას, სიგამხდრეს, ოფლიანობას, ტემპერატურის მომატებასა და სხვა.

თუ ქრონიკულ ყრუ ხასიათის ტკივილებს ხანგამოშვებით მწვავე, შეტევითი ხასიათის ტკივილები შეცვლის, ეს ნაღვლის ბუშტში, თირკმლებსა ან შარდის ბუშტში კენჭის არსებობაზე მეტყველებს. ამ შემთხვევაში აუცილებელია გამოცდილი პედიატრის კონსულტაცია და კლინიკურ-რენტგენოლოგიური გამოკვლევა.

სქესობრივი მომწიფების პერიოდში გოგონებში არაიშვიათია ტკივილები მცირე მენჯის მიდამოში, ცალმხრივ ან ორივე მხარეზე, რაც ხშირად საკვერცხეების ანთების ნიშანია.

ტკივილები მცირე მენჯის მიდამოში, წვა და მტკივნეულობა შარდვის დროს, შარდის ბუშტის ანთებაზე მიუთითებს.

მუცლის ტკივილები აღინიშნება მთელი რიგი ინფექციური და არაინფექციური დაავადებების დროსაც. ცნობილია გრიპის აბდომინალური ფორმა, ყივანახველის დროს, ძლიერი ხველის გამო, დიაფრაგმის ნერვის გაღიზიანება ხშირად გამოაშკარავდება მუცლის ტკივილით; ასევე ხშირია მუცლის ტკივილი ყბაყურის დროს, მის დასაწყის ან მოგვიანებით პერიოდში, პანკრეასის ანთების გამო.

მუცლის ტკივილი საკმაოდ ზოგადი სიმპტომია, რომელიც შეიძლება შეგვხვდეს სხვადასხვა დაავადებების დროს. მშობლებმა დროულად უნდა მიაქციონ ყურადღება და მიმართონ ექიმ-სპეციალისტს ტკივილების მიზეზის გასარკვევად.

ექიმის დროული კონსულტაცია და დიაგნოზის დაზუსტება საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ შესაძლებელი გართულებანი.

**ნოდარ ხერხეულიძე,**
თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ბავშვთა სნეულების კათედრის დოცენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ დავიჭიროთ თავი

# კაფეში ან რესტორანში

კაფეში, რესტორანში, სხვა საზოგადოებრივ ადგილებსა და გასართობ დაწესებულებებში თქვენ შეგიძლიათ შეხვდეთ მეგობრებს, გაატაროთ დრო ნაცნობებთან, ილაპარაკოთ, იმხიარულოთ საზოგადოებაში, ჭამოთ.

კაფეში, რესტორანში და გასართობ დაწესებულებებში პირველად ყოველთვის მამაკაცი შედის, ქალი კი მას მიჰყვება. შესვლისას მამაკაცი იხდის ქუდს, ქალი — ხელთათმანს. ამის შემდეგ მამაკაცი უნდა დაეხმაროს თანამგზავრს ზედა ტანსაცმლის გახდაში (საჭირო არ არის ეს დაწესებულების მუშაკს მივანდოთ), მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გაიხადოს თვითონ. ასევე უნდა მოვიქცეთ წასვლის დროსაც.

თავისუფალი ადგილის შოვნა მამაკაცის მოვალეობაა. თუ ეს მაშინვე არ მოხერხდა, დახმარებისათვის უნდა მივმართოთ ოფიციანტს ან მეტრდოტელს და არ დავიწყოთ დარბაზში წინ და უკან სიარული. თუ ვერ ვნახავთ თავისუფალ მაგიდას, შეიძლება ნებართვა ვთხოვოთ სხვას და მივუჯდეთ მის მაგიდას, სადაც ჯერ კიდევ არის თავისუფალი ადგილები.

შეიძლება მოხდეს ისე, რომ ვინმემ მოინდომოს თქვენს მაგიდასთან დაჯდომა. თუ თქვენ ეს არ გესიამოვნათ, ნუ აგრძნობინებთ მას და თავაზიანად მიეცით თანხმობა. იმის მომიზეზება, რომ ადგილები დაკავებულია, იმისთვის, რომ ცალკე იყოთ, ძალიან ულამაზოა.

მაგიდასთან ქალი ჯდება მამაკაცის მარჯვენა მხარეს ან მის პირდაპირ. თუ პატარა მაგიდებია, უმჯობესია ერთმანეთის პირდაპირ ჯდომა. ყოველ შემთხვევაში ისე უნდა დაჯდეთ, რომ ერთმანეთს არ ეხებოდეთ.

მამაკაცი ქალს კერძების ამოსარჩევად უწვდის მენიუს, ამასთან შეიძლება მოეთათბიროს მას. ოფიციანტს შეკვეთას ორთავესათვის აძლევს მამაკაცი. მენიუს დიდხანს თვალიერება, შენიშვნების გაკეთება კერძების ფასების შესახებ და წინასწარ იმის გამოთვლა, თუ რა დაჯდება სადილი — არ შეჰფერის ზრდილობიან ადამიანს.

თუ გსურთ ოფიციანტის გამოძახება, მოითმინეთ სანამ ის თქვენი მაგიდის ახლოს არ იქნება, შემდეგ ანიშნეთ ხელით... არ არის საჭირო დანით თეფშზე ან ჭიქაზე კაკუნი, თითების ტკაცუნი, „ალლოს" ძახილი, მთელი დარბაზის გასაგონად დაძახება — „ოფიციანტ!" ან ხმამაღლა კითხვა: „რამდენი გერგებათ?"

თქვენს გვერდით ჩავლილ ნაცნობებს, მათ შორის ქალებსაც ესალმებით დამჯდარი. მაგრამ უზრდელობაა თუ დამჯდარი მიმართავთ გამვლელს ან განაგრძობთ ჯდომას, როდესაც ის თქვენ მოგმართავთ. თუ თქვენი ნაცნობი შეჩერდა იმისათვის, რომ ერთიორი სიტყვა გითხრათ, არ არის საჭირო წარუდგინოთ იგი სუფრის სხვა წევრებს. მოახლოებული ნაცნობი თავის დახრით ესალმება მაგიდასთან მსხდომთ, და ისინიც ასევე პასუხობენ მას. თუ თქვენ ხედავთ, რომ საუბარი გიგრძელდებათ, ნაცნობი მაგიდასთან უნდა მიიწვიოთ, ან ბოდიში მოიხადოთ სუფრის წევრებთან და საუბრის გასაგრძელებლად გადაჯდეთ მის მაგიდასთან. როდესაც ნაცნობს იწვევთ თქვენს მაგიდასთან, იგი უნდა წარუდგინოთ სუფრის ყველა წევრს. ასეთ შემთხვევაში იგი ფეხზე უნდა იდგეს, მიუხედავად იმისა ქალია თუ მამაკაცი. მამაკაცები, რომლებსაც აცნობენ მაგიდასთან მოსულს, დგებიან, ქალები კი განაგრძობენ ჯდომას. როცა მაგიდასთან ქალი მოდის, დგება ყველა — მამაკაციც და ქალიც.

შეიძლება მოხდეს, რომ არ მოგეწონოთ საჭმელის ან სასმელის ხარისხი. ოფიციანტი, რომელიც თქვენ გემსახურებათ, არავითარ შუაში არ არის და მისთვის შენიშვნის მიცემა ზედმეტია. თუ თქვენ არ გამოგიცვლიან კერძს, ნუ გაჯიუტდებით, ნუ ასტეხთ აყალ-მაყალს.

თქვენი შენიშვნა ან საჩივარი შეგიძლიათ ჩაწეროთ საჩივრისა და წინადადებების წიგნში, რომელიც უნდა მოგცენ პირველი მოთხოვნისთანავე. საჩივრის ჩაწერის შემდეგ კარგად ადევნეთ თვალყური, რა რეაგირება მოახდინა დირექციამ მასზე.

ფრთხილად მოექეცით დანას, ჩანგალს და კოვზს, ნუ ახმაურებთ მათ თეფშზე, საერთოდ ზედმეტად ნუ იხმაურებთ. არ არის საჭირო მორთმეული კერძების დაყნოსვა, მათი ხმამაღალი გაკრიტიკება, გესლიანი შენიშვნების გაკეთება და საკუთარი უკმაყოფილების ხმამაღალი გამოთქმა.

გახსოვდეთ, რომ ოფიციანტი, როგორც ყველა სხვა ადამიანი, ანგარიშის დროს შეიძლება შეცდეს, ამიტომ თუ თქვენ ანგარიშის შემოწმებისას აღმოაჩენთ შეცდომას, ოფიციანტთან ერთად ერთხელ კიდევ შეამოწმეთ იგი.

# დიასახლისის გამოცდილება

## გოსტნეულის სალათი

500 გრ კარტოფილი მოვხარშოთ და დავჭრათ პატარა, თხელ ნაჭრებად. 100 გრ ბოლოკი, 200 გრ ჭარხალი და 300 გრ სტაფილო მსხვილად გავხეხოთ, 150 გრ კიტრის წნილი წვრილად დავკეპოთ, ალყა-ალყად დავჭრათ 100 გრ თავი ხახვი და 1 კონა მწვანე ხახვი.

მთელი ეს მასალა ფენებად ჩავაწყოთ მომინანქრებულ თასში, მოვაყაროთ ცოტა მარილი, შავი პილპილი, მოვასხათ ერთი ქილა მაიონეზი, ნახევარი ჭიქა მზესუმზირის ზეთი და კარგად ავურიოთ.

## შოკოლადის ნამცხვარი

150 გრ. კარაქი კარგად ავთქვიფოთ გათეთრებამდე, დავუმატოთ 2 კვერცხი, 1 ჭიქა არაჟანი, 1 ჭიქა შაქრის ფხვნილი, სოდა, მარილი. ვანილი — გემოვნებით და თან ვურიოთ. ვუყოთ იმდენი ფქვილი, რომ რბილი, ნაზი ცომი მივიღოთ, გავყოთ 6 ნაწილად და გამოვაცხოთ.

გავაკეთოთ გოგლიმოგლი 3 კვერცხის გულისა და ერთნახევარი ჭიქა შაქრისგან, გავქნათ შიგ 2 სუფრის კოვზი ფქვილი, ჩავასხათ 1 ლიტრ თბილ რძეში, შევდგათ ნელ ცეცხლზე და როგორც ადუღდება, გადმოვდგათ. როცა კრემი გაცივდება, ჩავუმატოთ რძეში გახსნილი ოცდახუთი გრ კაკაო და კარგად მოვურიოთ.

ნამცხვრის ნაჭრებს წავუსვათ ეს კრემი, ერთმანეთზე დავაწყოთ და დავჭრათ რომბისებურ პატარა ნაჭრებად.

ს. ტაბიძე

# მოდა-1972

ლელი ხვედელიძე

ამ ბოლო ხანებში მოდაში მომხდარმა ძირეულმა ცვლილებებმა — ახალმა სიგრძემ, ქალის გარდერობში შარვლის დამკვიდრებამ გაურკვევლობისა და დაბნეულობის ატმოსფეროში მოაქცია ქალების მნიშვნელოვანი ნაწილი.

მაგრამ, ახალი მოდა თავისი ხასიათით უაღრესად დემოკრატიულია. იგი არ გვთავაზობს კონკრეტულ, განსაზღვრულ სიგრძეს. თითოეულს აძლევს არჩევანის თავისუფლებას და კმაყოფილდება მხოლოდ ძირითადი მოთხოვნით — მუხლის დაფარვით.

ახალი მოდა არც შარვლიან კოსტუმებს თვლის ყველა ქალის გარდერობის აუცილებელ ელემენტად. ამ მოხერხებულ თანამედროვე კოსტუმს იგი სთავაზობს ყოველდღიურ და გამოსასვლელ ადგილებში ჩასაცმელად მხოლოდ ახალგაზრდა, ტანად ქალებს, ხოლო დანარჩენებს წინადადებას აძლევს ჩაიცვან შარვლიანი კოსტუმი და, კერძოდ, შარვალი აუცილებელ შემთხვევაში, შესაფერ გარემოში — მგზავრობაში, ტურიზმის, სპორტის და ზოგიერთი საოჯახო საქმიანობის შესრულების დროს.

თანამედროვე მოდა გულმოწყალეა ზომიერად მოკლე კაბების მიმართაც. მოკლე კაბებმა ბევრ რამეში გაიმართლა თავი — უპირველესად ყოვლისა, ის კარგი სატარებელია ზაფხულის სიცხე-პაპანაქებაში, მოხერხებულია დასვენების დროს, ეკონომიურია ქსოვილის ხარჯვის თვალსაზრისით და, რაც მთავარია, აახალგაზრდავებს ქალს.

რაც შეეხება კოჭებამდე გრძელ ტანსაცმელს — ე. წ. „მაქსის“, ეს მოდა მსოფლიოს თავს მოახვიეს დასავლეთის საფეიქრო მრეწველობის მაგნატებმა, რომლებიც მოკლე კაბებმა თავისი არსებობის ოთხი წლის მანძილზე დიდად დააზარალეს. მაგრამ „მაქსიმ“ საზღვარგარეთაც დიდი კამათი გამოიწვია, და სამართლიანადაც. ხომ წარმოუდგენელია კოჭებამდე კაბა ტრანსპორტში, ესკალატორზე, სამსახურში? ჰოდა, თავისი მოუხერხებლობის გამო, „მაქსიმ“ ფეხი ვერ მოიკიდა.

სამაგიეროდ „მაქსი“ დამკვიდრდა საღამოს, სათეატრო და სამეჯლისო კაბებში.

მაინც როგორია 1972 წლის მოდის მთავარი მომენტები, რას გვათვაზობს ის?

უპირველეს ყოვლისა, მუხლის დაფარვას. განსაკუთრებით ეხება ეს პალტოებსა და კოსტუმებს, სადაც ახალი მოდის ტენდენციები განსაკუთრებით მკვეთრად არის გამოხატული. პალტოები ძირითადად ტანზე მოყვანილია, საშუალო ზომის გადაფენილი საყელოთი, გაწყობილი რელიეფური გვირისტით და ზედნადები ჯიბეებით. იცვალა სახე კოსტუმმაც; შეიცვალა მისი პროპორციები. საგრძნობლად დამოკლდა ჟაკეტი, რომელიც უმეტესად ქამრით იხმარება. კოსტუმის ქვედა კაბა ხშირ შემთხვევაში ბოლომდეა გახსნილი და ღილებზე იკვრება.

მოდური სიახლეა პალტოსა და კოსტუმის შემცვლელი სხვადასხვა სიგრძის წამოსასხამი — „პელერინები“ და გრძელი ჟილეტები ე. წ. უსახელო პალტოები. რაც შეეხება კაბებს, აქ ორ ძირითად სილუეტს — ტრადიციულ სწორსა და ტანზე მოყვანილს — მიემატა ნაკეცებიანი კაბები და კაბები ირიბად აჭრილი ქვედატანით ე. წ. „კლოში“. მოდა კვლავ გვთავაზობს კაბა-სარაფნებს, მოკლე თუ გრძელ ჟილეტებს, სვიტრებს და მამაკაცის პერანგის მაგვარ ბლუზებს, რომელსაც ხან ქვედა ტანში ჩაიტანებენ, ხანაც მის ზემოდან ჩაიცვამენ ქამარშემორტყმულს.

ძალიან გავრცელებულია ხელით ნაქსოვი ნაწარმი — კაბა, ბლუზა, კაშნე, ქუდი და სხვა.

ძირითადი მოდური დეტალები ისეთივეა, როგორც გასულ წელს იყო: თამასა, კოკეტი, ჯიბეები, გვირისტი, ღილები, ტყავის კანტები, გადაკეცილი საყელო, სამაჯიანი სახელო, წელის ხაზზე მორგებული ქამარი და სხვადასხვა სიგრძის შარფები.

ფეხსაცმელში, გასულ წელთან შედარებით, არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. ქუდებში უპირატესობა, ბერეტებთან ერთად, ექნება პატარა ფორმის მოქსოვილ ქუდებს. ქსოვილებში სჭარბობს დრაფი და მაუდი, ყოველგვარი კრეპები, ჟერსი და ტვიდები. კიდევ უფრო გავრცელდა უჯრედებიანი და „წიწვის“ ფორმის ნახატიანი ქსოვილები.

ვარცხნილობის ძირითადი სახეა უკან გადავარცხნილი თმა, რომელიც ბოლოშია შეკრული. შედარებით იშვიათია მოკლედ შეჭრილი თმა.

ახალი მოდა დიდ მოთხოვნილებას უყენებს მკერავებს. მოდური ტანსაცმლის გართულებული თარგი, დეტალების მრავალსახეობა მოითხოვს კერვის დიდ ოსტატობას, მაღალ გემოვნებას და კულტურას.

ამგვარად, თქვენს ხელთ არის ახალი მოდის რეკომენდაციის გრძელი სია. რაზეც შეჩერდება თქვენი არჩევანი, ეს გადაწყვეტს მომავალი მოდის განვითარებისა და დამკვიდრების ბედს.

---

ყდის პირველ გვერდზე — ბორჯომის მინერალური წყლების № 1 ჩამომსხმელი ქარხნის ლაბორატორიის გამგე თამარ სტაჟაძე; მეოთხე გვერდზე — ბორჯომის მინერალური წყლების № 1 ჩამომსხმელი ქარხნის დამხარისხებელი დარიჯან მანჩხაშვილი.

ფერადი ფოტო დ. იაკობაშვილისა.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. ბურბენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ი. ჩოფიკაშვილი კორექტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. №14. ტელეფონის №,№: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 93-98-56, განყოფილებების — 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთამმართველის — 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 19/X-71 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/XI-71 წ. ქაღალდის ზომა 60X90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო საგამომცემლო თაბახი 5,3.

ტირაჟი 123.260. შეკვ. 3739 უე. 02223 ფასი 30 კაპ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული ბიბლიოთეკა